...ვეთი ზივრიას, „ვერსიას" ერთი

ვერსია

ფასი 50 თეთრი

№67 (1093) 17 – 18 ივნისი, 2015 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

ვახტანგ გომელაური: „პანიკის საფუძველი არ არსებობს"

სტიქიური უბედურების ზონა

ექსკლუზიური ინტერვიუ ექსპერტთან, რომელმაც ვერეს ხეობასთან დაკავშირებით სკანდალური დასკვნა დადო

გვ. 6

რამ გამოიწვია მდინარის ადიდება და რა რეკომენდაციები უნდა გაეთვალისწინებინა „ნაციონალურ ხელისუფლებას" ესტაკადის მშენებლობისას

სპეციალური რეპორტაჟი სვანიძის ქუჩიდან

გვ. 5

თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან სტიქიით დაზარალებულებისთვის მხოლოდ მილიონი ლარი გამოიყოფა

გვ. 3

აუნაზღაურებენ თუ არა მოქალაქეებს დაზიანებული ავტომობილების ზარალს

როგორ დაეხმარებიან სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები სტიქიით დაზარალებულებსა და ხელისუფლებას

გვ. 9

რას მოხმარდება მერიის მიერ აღებული 18-მილიონიანი სესხი

გვ. 2

თამარაშვილის ქუჩაზე 13 ივნისისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა იხსნება

ფიქრია ჩიხრაძე ოპოზიციის „გეგმა მაქსიმუმს" ამხელს

გვ. 7

მოაწყობენ თუ არა საპროტესტო აქციებს და რა შემთხვევაში გამოცხადდება 2016 წლის არჩევნების შედეგი არალეგიტიმურად

გიგა ბოკერიას დედის მოძალადე „მოსწავლე"

კატორღის დღიური

გვ. 8

რატომ არ დაიხსნა ნაციონალების იდეოლოგმა ციხიდან ყაჩაღობაზე ბრალდებული ნაცნობი

რას მოხმარდება მერიის მიერ აღებული 18-მილიონიანი სესხი

თამარაშვილის ქუჩაზე 13 ივნისისადმი მიძღვნილი მემორიალური დაფა იხსნება

ნინო კომახიძე
599-95-33-16

16 ივნისს, თბილისის საკრებულოს საგანგებო სხდომაზე, დეპუტატებმა, მათ შორის ნაციონალური მოძრაობის, ბურჯანაძისა და ალასანიას პარტიების წარმომადგენლებმა, თბილისის მერიას 18-მილიონიანი სესხის აღებაზე თანხმობა 38 ხმით დაუდასტურეს. ვიდრე დეპუტატები სხდომის მთავარ საკითხზე გადავიდოდნენ, სიტყვით საკრებულოს თავმჯდომარე გამოვიდა, თუმცა ახალი არაფერი უთქვამს. მისი განცხადებით, სტიქიით დაზარალებულებს გარკვეულ თანხას საკრებულოც გადაურიცხავს და ეს ფული დეპუტატების სამივლინებო და სხვა ხარჯებს ჩამოაკლდება, თუმცა თავმჯდომარემ ვერც ის დააკონკრეტა, რა თანხაზეა საუბარი. სამაგიეროდ, გავიგეთ ის, რომ თამარაშვილის ქუჩაზე, საკრებულოს მხარდაჭერით, მემორიალური დაფა გაიხსნება, ხოლო ხის მასალის დასამუშავებლად რაიონებიდან რეინჯერები ჩამოვლენ.

ლირიკული შესავლის შემდეგ სიტყვით რამდენიმე დეპუტატი გამოვიდა და სხვადასხვა ინიციატივაც გაჟღერდა. ნაციონალურმა მოძრაობამ „ოცნებელ“ კოლეგებს მხარდაჭერა გამოუცხადა და შესაძლებლობების ფარგლებში, დახმარებასაც დაპირდა. „ოცნების“ დეპუტატმა ქალბატონმა სასმელი წყლის მონიტორინგისა და მოსალოდნელი ეპიდემიის თავიდან აცილების პრევენციაზე ისაუბრა. დამოუკიდებელმა დეპუტატმა სოსო მანჯავიძემ განაცხადა, რომ მომხდარი ტრაგედიის გამო დამნაშავეები სისხლის სამართლის პასუხისგებაში 240-ე, 247-ე და 287-ე მუხლებით უნდა მიეცნენ, სამშენებლო დარღვევებზე პასუხისგებასა და ინფორმაციის დამალვას ეხება. მისივე ინიციატივით, უახლოეს მომავალში სტიქიური კატასტროფის პრევენციის ცენტრი უნდა შეიქმნას. გაჟღერდა ისიც, რომ ქალაქში, რეალურად, ასეთ სიტუაციებში მოქმედების გეგმა არ არსებობდა, რაც მოქალაქეების მოქმედებებსაც დაეტყო. თუმცა სამოქალაქო საზოგადოებისა და ახალგაზრდების ერთსულოვნებას სათითაოდ ყველა დეპუტატი სიამაყით გამოეხმაურა. „ოცნების“ ერთ-ერთმა დეპუტატმა, გოჩა ბაბუნაშვილმა განაცხადა, ე.წ. ახალი გზა მთლიანად უნდა დაინგრეს და მაგისტრალის ალტერნატიული პროექტი შემუშავდეს. ბურჯანაძის პარტიის პოზიციით, სხვადასხვა სტრუქტურებმა, მიუხედავად უდავო თავგანწირვისა, გარკვეული შეცდომებიც დაუშვეს, საჩივრები არსებობს უკმაყოფილო მოსახლეობის მხრიდანაც, ამიტომ მათ თავად მერიას მოსთხოვეს მუშაობისას აღმოჩენილი სუსტი მხარეების დასახელება. ამავე პარტიის წარმომადგენელი, შალვა ოგბაიძე კი საკრებულოს უუფლებობაზე საუბრობდა გარემოს დაცვის მონიტორინგის საკითხში — თუკი გარემოს დაცვის კომისია არსებობს, გარემოს რეალური მონიტორინგის ფუნქციით რატომ არაა აღჭურვილიო. მისი თქმით, საკრებულოს არ გააჩნია შეტყობინების გამართული სისტემა, არ არსებობს მსგავს სიტუაციებში გახიზვნის ეფექტური გეგმა, ასევე ევაკუაციის გეგმა ბავშვებისთვის და ა.შ. რაც სასწრაფოდ გამოსასწორებელია. სიტყვით გამოსვლების შემდეგ საკრებულომ მერიას გზების რეაბილიტაციისთვის 18-მილიონიანი სესხის აღებაზე თანხმობა მისცა. საკითხი სხდომაზე თბილისის საფინანსო-საქალაქო სამსახურის უფროსმა ლევან თევზაიამ გამოიტანა. მისი თქმით, კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურმა მერიას ინიციატივით მიმართა, 18 მილიონი ლარი გზების რეაბილიტაციისთვის გამოიძებნოს. სესხის მიმღები მუნიციპალური განვითარების ფონდი იქნება. თუმცა ამ სხდომამდეც მიდიოდა საუბრები და ამის შესახებ კითხვა „ნაციონალური მოძრაობა – თბილისის“ თავმჯდომარე ირაკლი აბესაძემაც დასვა — ამ თანხის რა ნაწილი მოხმარდება სტიქიის შედეგების ლიკვიდაციას და ვინ არის ამ ფონდის დონორიო. ნაციონალმა დეპუტატმა თევზაიას იმ ერთი ქუჩის დასახელება მაინც სთხოვა, რომელსაც ეს თანხა მოხმარდება, თუმცა თევზაიამ კონკრეტული ქუჩების დასახელება ვერ შეძლო. დაბნეული თევზაია „ოცნების“ მაჟორიტარმა ჯაბა სამუშიამ იხსნა და განაცხადა, რომ როგორც ცნობილია, ეს თანხა 42 ქუჩის რეაბილიტაციას მოხმარდება, ამ ჩამონათვალში კი სტიქიის მიერ დაზიანებული 15 ქუჩაცაა. მისი თქმით, 18-მილიონიან სესხს მუნიციპალური განვითარების ფონდი საერთაშორისო დონორისგან მიიღებს. სახელმწიფო სტიქიის შედეგების ლიკვიდაციისათვის 10 მილიონ ლარს გამოყოფს. როგორც სამუშიამ განაცხადა, მისი ინფორმაციით, თბილისის ბიუჯეტის კიდევ ერთხელ დაკორექტირებული პროექტი საკრებულოში 10 დღეში შევა. მოკლედ, ეს საკითხი მცირე კამათის შემდეგ მაინც დამტკიცდა და სესხის აღებაზე თანხმობა ოპოზიციის სრულმა შემადგენლობამაც განაცხადა. „ვერსიისთვის“ კი მცირე განმარტება საბურთალოს მაჟორიტარმა, რომლის რაიონის ფარგლებში დატბორილი ზოოპარკიც შედის, რესპუბლიკელმა დავით **ზურაბიშვილმა** გააკეთა: **„მაჟორიტარების როლი, ინსტიტუციურად, ამ ვითარებაში, ნაკლებია, მსგავსი პრობლემების აღმოფხვრა უფრო მთავრობისა და სხვადასხვა სამინისტროს კომპეტენციაა. პატარ-პატარა ხარვეზები მუშაობისას არის, თუმცა ასეთი რამ ყოველთვის ხდება და ყველაფერს ვერ გაითავლისწინებს. ჩვენი რაიონის მდგომარეობა სიმძიმით სხვებს არ ჩამოუვარდება, ზარალის დათვლა მიმდინარეობს, თუმცა ეს რიცხვი მუდმივად მცირდება და 18-მილიონიანი სესხი მთლიანად სტიქიის მიერ დაზიანებული ქუჩების რეაბილიტაციასაც რომ მოხმარდეს, მაინც გაცილებით დიდი თანხის მობილიზაციაა საჭირო. ამ შემთხვევაში, საკრებულო თბილისის ბიუჯეტის მაკონტროლებელი ორგანოს როლშია, თუმცა საკრებულოს წევრთა უმეტესობა, სტიქიის პირველი წუთებიდანვე ადგილზე იმყოფებოდა და შეძლებისდაგვარად მუშაობდა. პირადად მე შესაბამის სტრუქტურებთან მიმაქვს ინფორმაცია, თუ მუშაობისას რაიმე პრობლემა იქმნება ან რომელიმე მოსახლე ჩივის, რომ არასათანადო ყურადღებას აქცევენ. ჯამში, ყველა სტრუქტურამ მაქსიმალური დატვირთვით იმუშავა, თუმცა იყო გაუგებრობები, რესურსების მართვის საკითხში, რადგან უამრავი მოხალისიდან ზოგი ეფექტურად ვერ გადანაწილდა. იმედი მაქვს, სრული რეაბილიტაცია ზამთრამდე მოესწრება“.**

ვახტანგ გომელაური: „პანიკის საფუძველი არ არსებობს“

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა მდინარე ვერეს ხეობაში სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების შეჩერების შესახებ განცხადება გააკეთა. მინისტრის განცხადებით, სამუშაოები დროებით სინოპტიკოსების რეკომენდაციის გათვალისწინებით — როგორც სინოპტიკოსები პროგნოზირებენ, უხვი ნალექი კვლავ მოსალოდნელია. გომელაურის განმარტებით, ყველა შესაბამისი სამსახური მობილიზებულია და სინოპტიკოსების პროგნოზების შესაბამისად, სამუშაოები მაშინვე განახლდება.

სამუშაოების შეწყვეტამდე, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი, ყველა იმ ადგილს ესტუმრა, სადაც სტიქია დატრიალდა. გომელაური მდინარე ვერეს ხეობაში იმყოფებოდა. მინისტრმა შსს-ს სხვადასხვა დანაყოფის ხელმძღვანელებისგან მიმდინარე სამუშაოების შესახებ ანგარიში მოისმინა და კონკრეტული მითითებებიც გასცა: **„ზოოპარკის ტერიტორიაზე თავდაცვის სამინისტროს დანაყოფები ტექნიკასთან ერთად შემოვა, „მზიურში“ დაემატება ტექნიკა და დაიწყება მასშტაბური სამუშაოები. გაიხსნება გზა რამდენიმე მიმართულებით“.**

მინისტრმა „მზიურის“ ტერიტორიაც დაათვალიერა და გაწმენდითი სამუშაოების გეგმა დასახა. აღნიშნულ ტერიტორიაზე სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო, გაწმენდით და სამძებრო სამუშაოებს შსს-ს სხვადასხვა დანაყოფი ახორციელებს. მინისტრი დანაყოფების ხელმძღვანელებს გაესაუბრა და კონკრეტული მითითებები გასცა.

„ვერსიანიუსი“

მე-11 კლასელებისთვის პრეტესტი გამოცები 17 ივნისიდან დაიწყება

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, მე-11 კლასელების დამამთავრებელი გამოცდების პრეტესტი მთელ საქართველოში 16 ივნისს ჩატარდა.

შესაბამისად, გამოცდები 17 ივნისს 09:00 საათიდან დაიწყება. სკოლები იხელმძღვანელებენ იმ განრიგით, რომელიც ჰქონდათ შემუშავებული. გამოცდები მხოლოდ ერთი დღით გადაიწევს, რის გამოც მოხდება სარეზერვო დღის — შაბათის გამოყენება.

სტიქიის შედეგად, ამ ეტაპზე, მხოლოდ ერთს, მომავლის სკოლას აქვს პრობლემები თუმცა, მომავლის სკოლის მე-11 კლასელები გამოცდებს თბილისის 55-ე საჯარო სკოლაში ჩააბარებენ.

განათლების სამინისტროს ცნობით, პრეტესტი არ წარმოადგენს სავალდებულო აქტივობას და არის ნებაყოფლობითი, თუმცა ამ ფორმით ყველა მოსწავლეს ექნება საშუალება უკეთ მოემზადოს დამამთავრებელი გამოცდისთვის და გაიაროს ტესტის აპრობაცია.

განრიგის შესახებ დეტალური ინფორმაცია დღის სამი საათიდან შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილებით, სტიქიის შედეგად დაზარალებული ოჯახებისთვის, განსაკუთრებით კი ბავშვებისთვის საგანგებო რეჟიმში სამინისტრო ფსიქოლოგიური ცენტრები სრული დატვირთვით იმუშავებენ.

მსურველებს დეტალური ინფორმაციის მიღება სამინისტროს ცხელი ხაზის საშუალებით: 2 200 220 შეეძლებათ.

„პირველი“

თბილისის მერის სარეზერვო ფონდიდან სტიქიით დაზარალებულებისთვის მხოლოდ მილიონი ლარი გამოიყოფა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

საქართველოს ბანკი — 100 000 ლარი, თიბისი ბანკი — 50 000 ლარი, ბანკი რესპუბლიკა — 30 000 ლარი, პროკრედიტ ბანკი — 30 000 ლარი, „სოკარი“ — 50 000 ლარი, „პე ეს პე“ — 100 000 ლარი, „რაკია ჯგუფი“ — 20 000 ლარი, „ზედაზენი“ — 10 000 ლარი, „ბარამბო“ — 15 000 ლარი, „IDS ბორჯომი“ — 20 000 ლარი, „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი“ — 10 000 ლარი, „იმედი ელ“ — 50 000 ლარი, „ბილაინი“ — 20 000 ლარი, „სპარ ჯორჯია“ — 10 000 ლარი, „სილქ როუდ ჯგუფი“ — 50 000 ლარი, „ევროპაბეთი“ — 50 000 ლარი, „ვისოლ ჯგუფი“ — 10 000 ლარი, „არქი ჯგუფი“ — 10 000 ლარი, „თეგეტა მოტორსი“ — 5 000 ლარი, „მაგთი“ — 50 000 ლარი, კორპორაცია „ევექსი“ — 25 000 ლარი, „საქპატენტი“ — 1 000 000 ლარი, საქართველოს პარლამენტი — 1 000 000 ლარი, ფინანსთა სამინისტროს სსიპ „შემოსავლების სამსახური“ — 100 000 ლარი... ეს იმ კომპანიებისა და სახელმწიფო უწყებების მცირე ჩამონათვალია, რომლებმაც 13-14 ივნისს, თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად გახსნილ სპეციალურ ანგარიშებზე თანხა ჩარიცხეს. ამ მიზნით, 14 ივნისს, ლიბერთი ბანკში, თიბისი ბანკსა და სახელმწიფო ხაზინაში სპეციალური ანგარიშები გაიხსნა. 15 ივნისს, 18.00 საათის მდგომარეობით, ამ ანგარიშებზე 233 534 ლარი და 10 992 აშშ დოლარი შეგროვდა.

უპრეცედენტო სოლიდარობა

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის განკარგულებით, თბილისის მერიას სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად, მთავრობის სარეზერვო ფონდიდან 30 000 000 ლარი გამოუყვეს. ამავე მიზნით, ფინანსთა სამინისტრომ მთავრობის სარეზერვო ფონდიდან დამატებით 10 000 000 ლარი გამოყო. პირველადი გათვლებით, სტიქიის შედეგად მიყენებული მატერიალური ზარალი 40 000 000 ლარზე მეტია.

ძლიერი წვიმის შედეგად, ვერეს ხეობაში, სვანიძის ქუჩაზე მცხოვრები, დაახლოებით 45 ოჯახი და წყნეთის ქუჩაზე მცხოვრები, დაახლოებით, 32 ოჯახი უსახლკაროდ დარჩა, რომლებიც თბილისის მერიამ სხვადასხვა სასტუმროებში განათავსა. სტიქიის შედეგად დაზარალდა სოფელ ახალდაბის მოსახლეობა, რომლებიც საქართველოს ვიცე-პრემიერის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის, გიორგი კვირიკაშვილის განკარგულებით, წყნეთის სამთავრობო აგარაკებზე განათავსეს. სამწუხაროდ, სტიქიას 12 ადამიანის სიცოცხლე ემსხვერპლა. პრემიერ-მინისტრის განკარგულებით, სახელმწიფოსგან დახმარების სახით, დაღუპულთა ოჯახები 10 000 ლარს მიიღებენ.

უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის დახმარება საქართველოს პრეზიდენტმა, გიორგი მარგველაშვილმა გადაწყვიტა. „ვერსიასთან“ საუბრისას პრეზიდენტის ეკონომიკურმა მრჩეველმა, **გიორგი აბაშიშვილმა** აღნიშნა, რომ პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან ამ ადამიანებისთვის გარკვეულ თანხას გამოყოფენ და მათი ბინის ქირას გადაიხდიან: **„ამ ეტაპზე, უცნობია, რა რაოდენობის თანხა დაგვჭირდება. თუმცა თბილისის მერიასთან მჭიდროდ ვთანამშრომლობთ და სწორედ ისინი დაიანგარიშებენ, ზუსტად რა ოდენობის თანხა დაგვჭირდება. გიორგი მარგველაშვილი მზადაა, უსახლკაროდ დარჩენილი მოსახლეობის საცხოვრებლები პრეზიდენტის ფონდიდან დააფინანსოს“**.

სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის მდივანმა, **მიქაელ ბოტკოველმა** განაცხადა, რომ თბილისში, 13-14 ივნისის სტიქიის შედეგად დაზარალებულ თითო ოჯახს, თითო ეკლესია დაეხმარება: **„მისმა უწმინდესობამ მცხეთა-თბილისის სამღვდელოებას, ტაძრის წინამძღვრებსა და მოძღვრებს ლოცვა-კურთხევა და დავალება მოგვცა, რათა თითო ეკლესიამ, მეურვეობა გაუწიოს თითო ოჯახს, რომელიც სტიქიის შედეგად დაზარალდა. ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, შეჭირვებულ ოჯახებს დავეხმარებით და უყურადღებოდ არ დავტოვებთ. თითო ეკლესიაზე, თითო ოჯახს გავანაწილებთ და მათ დახმარებას ვეცდებით“.**

„ჯინო პარადაისის“ მფლობელი, ბიზნესმენი ნოდარ გიორგაძე, სტიქიით დაზარალებული ერთი ოჯახისთვის საცხოვრებელ ბინას შეიძენს. ისრაელის ბიზნესპალატის თავმჯდომარე, იციკ მოშე კი ორ ბინას შეიძენს. სტიქიის შედეგად დაზარალებულთათვის, სხვა ებრაელებთან ერთად, იციკ მოშემ უკვე 100 000 აშშ დოლარზე მეტი შეაგროვა, თუმცა თანხის შეგროვება ამჟამადაც გრძელდება.

თბილისში, სტიქიის დროს დაზარალებული ოჯახებისთვის საცხოვრებელ ფართებს ბიზნესმენი რომან ფიფიაც იყიდის: **„მზად ვართ, უსახლკაროდ დარჩენილი რამდენიმე ოჯახისთვის საცხოვრებელი ფართი შევიძინოთ, ხოლო წითელი ჯვრის საშუალებით, დახმარება გავუწიოთ“.**

სუპერმარკეტების ქსელი „ნიკორა“, დაზარალებულ ოჯახებს 20 000 ლარის ღირებულების სასაჩუქრე ბარათებს დაურიგებს. მათი გამოყენება „ნიკორას“ 80-ვე სუპერმარკეტშია შესაძლებელი. სასაჩუქრე ბარათებით, დაზარალებულები ნებისმიერი სახის პროდუქტსა თუ ნივთებს, სრულიად უფასოდ მიიღებენ. „სიკეთე გადამდებია“ და „ნიკორას“ მსგავსად, უსახლკაროდ დარჩენილ ადამიანებს „სმარტი“ საკვებითა და ჰიგიენური საშუალებებით მოამარაგებს, ხოლო სუპერმარკეტი „ფრესკოს“ საბურთალოს ფილიალი, რომელიც სტიქიის დროს, თავადაც დაიტბორა და რამდენიმე საათის განმავლობაში მუშაობა შეწყვიტა, დაზარალებულებს საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფს. თბილისში, ბელიაშვილის ქუჩაზე, ერთ-ერთ სასტუმროში დაბინავებული 14 ოჯახი საჭირო პროდუქტებით „გუდვილმა“ მოამარაგა. დაზარალებულებს დახმარება გაუწია სუპერმარკეტების ქსელმა „სპარი“.

პოლონელმა ბიზნესმენმა, რომელიც ვარშავაში პოპულარული რესტორნის მფლობელი და საქართველოს ძველი მეგობარია, მარიუშ არტურ ნაპორამ, Facebook-ის საკუთარ გვერდზე, მეგობრებსა და საზოგადო მოღვაწეებს, თბილისში, სტიქიით დაზარალებულთა დასახმარებლად, საქველმოქმედო აუქციონის ჩატარებისკენ მოუწოდა. პოლონელმა ბიზნესმენმა მეგობრებს მიმართა, რომ აუქციონზე ღირებულის ნივთები გამოიტანონ, ხოლო შემოსული თანხა პოლონეთში, საქართველოს ელჩს ოფიციალურად გადასცენ.

თბილისის მერის სარეზერვო ფონდი

თბილისის მერიის 2015 წლის მთლიანი ბიუჯეტის პროექტი, დაახლოებით, 800 000 000 ლარით განისაზღვრა. ამავე ბიუჯეტის 28-ე მუხლის თანახმად, **სარეზერვო ფონდის მოცულობა 3 000 000 ლარით განსაზღვრეს. სარეზერვო ფონდში არსებული თანხის ხარჯვა, მხოლოდ თბილისის მერის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტის საფუძველზეა შესაძლებელი.**

საქართველოს პრეზიდენტის, მთავრობისა და თბილისის მერის სარეზერვო ფონდი ძირითადად, ფორსმაჟორული სიტუაციებისა და გადაუდებელი ღონისძიებებისთვის იხარჯება. როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის პრეზიდენტობის, ასევე გიგი უგულავას მერობის პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან თანხები არამიზნობრივად იხარჯებოდა. როგორც წესი, სარეზერვო ფონდს სხვადასხვა კონცერტების და ხელისუფლების მაღალჩინოსნების საზღვარგარეთ ვოიაჟებისთვის იყენებდნენ.

13-14 ივნისის სტიქიური უბედურების დროს, ირაკლი ღარიბაშვილისა და გიორგი მარგველაშვილის განკარგულებებით, მთავრობისა და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდებიდან გარკვეული თანხა, სწორედ სტიქიის ლიკვიდაციისთვის საჭირო სამუშაოების დასაფინანსებლად გამოყვეს. ამ ეტაპზე უცნობია, დაიხარჯება თუ არა მერის სარეზერვო ფონდში არსებული თანხა სტიქიის შედეგად დაზარალებულთა დასახმარებლად.

თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ მერის სარეზერვო ფონდში, ამ მიზნისთვის მხოლოდ 1 000 000 ლარია გათვალისწინებული: **„იმ პირობებში, როდესაც სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალი 40 000 000 ლარს აღემატება (მოგვიანებით, პრემიერ მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა განაცხადა, რომ ზარალმა შესაძლოა 100 მილიონ ლარს გადააჭარბოს — ავტ.), თბილისის მერის სარეზერვო ფონდში არსებული მილიონი ლარი, ზღვაში წვეთია. შესაბამისად, დედაქალაქის მუნიციპალიტეტს ცენტრალური ბიუჯეტიდან დახმარება აუცილებლად სჭირდება.**

საცხოვრებელი სახლების გარდა, თბილისელებმა სტიქიის დროს, საკუთარი ავტომობილებიც დაკარგეს. ძლიერი წვიმის შედეგად, ხალხმა ავტომობილები მიატოვა და თავი გადაირჩინა. მეორე დღეს, ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე, მდინარე ვერესა და მტკვრის ხეობაში, ტალახში ჩაფლულ ავტომობილებს ეძებდნენ.

სადაზღვევო კომპანია „ჯიპიაი ჰოლდინგი“, ზარალს უკვე ითვლის. კომპანიის ზარალის ანაზღაურების მენეჯერები, სტიქიის ღამეს, 13-14 ივნისს, მოვლენების ეპიცენტრში იმყოფებოდნენ და დაზარალებულების დახმარებას ცდილობდნენ. „ჯიპიაი ჰოლდინგის“ ცხელ ხაზზე, ასამდე შეტყობინება შევიდა, ზარების უმრავლესობა ბინებისა და მანქანების დატბორვით დაზიანებას ეხებოდა. კომპანიაში სტიქიით გამოწვეული სრული ზარალის დაანგარიშება ახლაც მიმდინარეობს, ზუსტი ციფრი მიმდინარე კვირაში გაირკვევა. სადაზღვევო კომპანიაში აცხადებენ, რომ თანხის მთლიანი ოდენობა, სავარაუდოდ, 500 000 ლარს გადააჭარბებს.

სამწუხაროდ, თბილისის მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას საკუთარი ავტომობილები დაზღვეული არ ჰქონია. საინტერესოა, გაითვალისწინებს თუ არა თბილისის მერია ამ ფაქტს და როგორ აუნაზღაურებს თბილისელებს დაზიანებული ავტომობილების ზარალს?

თბილისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურში „ვერსიას“ განუცხადეს, რომ ამ ეტაპზე, მნიშვნელოვანია უსახლკაროდ დარჩენილი თბილისელების ბინებითა და პირველადი მოხმარების საყოფაცხოვრებო ნივთებით, საკვებითა და ტანსაცმლით უზრუნველყოფა. თუმცა მერიაში აცხადებენ, რომ დაზიანებული ავტომობილებიც მნიშვნელოვანია, რის გამოც თბილისელები საკმაოდ სერიოზულად დაზარალდნენ: **„მას შემდეგ, რაც ზარალს დავითვლით, დაზიანებული ავტომობილების ზარალის ანაზღაურების საკითხსაც დავსვამთ და ამ პრობლემასაც მივხედავთ“,** — აცხადებენ მერიაში.

P.S. თბილისის მერის სარეზერვო ფონდი, დედაქალაქის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2015 წლის 7 აპრილს, 2 200 000 ლარამდე შემცირდა. ასეა თუ ისე, ფორსმაჟორული სიტუაციისთვის გათვალისწინებული 1 000 000 ლარი ნამდვილად არ არის „ზღვაში წვეთი“. უხეში გათვლებით, თბილისის ცენტრში, ერთოთახიანი ბინა დაახლოებით, 100 000 ლარის ფარგლებში ჯდება (გარეუბნებში კიდევ უფრო იაფია). შესაბამისად, ამ ერთი მილიონი ლარით, როგორც მინიმუმ 10 ბინას მაინც შეიძენენ და სულ მცირე, 10 ოჯახს გადაუჭრიან პრობლემას!

უხვი ნალექი მთელ საქართველოშია მოსალოდნელი

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

თბილისში მომხდარ 13 ივნისის ტრაგედიას აფასებს და უხვი ნალექისგან მოსალოდნელ საფრთხეებზე საუბრობს გარემოს ეროვნული სააგენტოს მეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი რამაზ ჭითანავა. ასევე ეხმაურება საზოგადოების მხრიდან ამინდის არასწორი პროგნოზირების შესახებ გამოთქმულ პრეტენზიებს და აცხადებს, რომ მათმა მეტეოროლოგიურმა სააგენტომ სწორი პროგნოზი გააკეთა — ზოგ საიტზე არასწორი პროგნოზები ქვეყნდება და სხვის შეცდომებს მე ვერ მივიწერო. იცოდნენ თუ არა მეტეოროლოგიური დეპარტამენტის წარმომადგენლებმა, უხვი ნალექი რომ იყო მოსალოდნელი? ჩააყენეს თუ არა საქმის კურსში შესაბამისი სამსახურები? არის თუ არა შესაძლებელი, სტიქიის სავარაუდო ზონის პროგნოზი და კვლავ თუა მოსალოდნელი საქართველოში ძლიერი წვიმა? „ვერსიის“ კითხვებს მეტეოროლოგიური დეპარტამენტის უფროსი რამაზ ჭითანავა პასუხობს.

— ბატონო რამაზ, დროულად რატომ არ მოხდა 13 ივნისის ამინდის პროგნოზირება?

— ჩვენ წინასწარ დავდეთ სწორი გრძელვადიანი პროგნოზი, რომ აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელი იყო უხვი ნალექი. იმის შესაძლებლობა კი არ გვქონდა, კონკრეტულად განგვესაზღვრა, სად იქნებოდა ამ უხვი ნალექის დისლოკაციის ადგილი.

— თქვენს სააგენტოს კანონში აქვს გაწერილი დებულება, რომ მეტეოროლოგიურმა სამსახურმა ზუსტად უნდა ასახოს სტიქიის მოსალოდნელი დისლოკაციის ადგილი, რომლის მაცხოვრებლებიც წინასწარ უნდა გააფრთხილოთ. რატომ ვერ შეძელით საზოგადოებისა და შესაბამისი სტრუქტურების წინასწარ გაფრთხილება ან სტიქიის ადგილის დაზუსტება?

— კონკრეტულად ადგილზე მოსალოდნელი ამინდის პროგნოზირება შეუძლებელი იყო, რადგან ლოკალიზაციის ადგილი არ იყო მთლიანად თბილისი და ეს იყო ერთი კონკრეტული ტერიტორია, სადაც ეს ტრაგედია დატრიალდა. ჩვენ ინფორმაცია მივაწოდეთ საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურს. საზოგადოებისათვის კი, ინფორმაციის მიწოდება არ გვევალება და მოსალოდნელი ამინდის მოკლე თუ გრძელვადიანი პროგნოზები დევს ჩვენს საიტზე. დანარჩენი საიტები, რომელიც ინტერნეტსივრცეში არსებობს, არ ასახავს ამინდის რეალურ პროგნოზს და ნუ ენდობა საზოგადოება ამ საიტებს.

— როგორ ფიქრობთ, სვანიძისა და წყნეთის ქუჩებზე არსებული მდგომარეობა მხოლოდ უხვი ნალექისგანაა გამოწვეული?

— უხვი ნალექის მოსვლასთან ერთად, არსებული კატასტროფა გამოიწვია ვერეს ხეობის მდინარის ჩაკეტვამაც. მეწყერი ჩამოწვა და ამან მთლიანად გადაკეტა ხეობა, რამაც წყალს გასვლის საშუალება არ მისცა და მივიღეთ სამწუხარო შედეგი.

— მომდევნო დღეებში როგორი ამინდია მოსალოდნელი საქართველოს მასშტაბით, იცით თუ არა ზუსტი ადგილები და დრო, სად, რა დროს მოიმატებს უხვი ნალექი?

— მთლიანად საქართველოში ჩვენ სამი დღის განმავლობაში ველოდებით უხვ ნალექსა და წვიმას, მათ შორის მომეტებულად ნალექი აღინიშნება ქვემო ქართლში, თუმცა ამ დღეებში, მომეტებული უხვი ნალექის საშიშროება მთლიანად საქართველოს მასშტაბითაა მოსალოდნელი.

სპეციალური რეპორტაჟი ვაკის გამგეობიდან

ერთმუშტად შეკრული საზოგადოება დაზარალებულთა დასახმარებლად

ნინი ჯაფარიძე
571-17-00-02

სტიქიით დაზარალებულებისთვის გამგეობებში სპეციალური პუნქტები გაიხსნა, სადაც მოქალაქეებს ტანსაცმლის, პროდუქტის, ჰიგიენის საშუალებებისა თუ სხვა საჭირო ნივთების მიტანა შეუძლიათ. „ვერსია“ დაინტერესდა, რა ხდება იქ და რა სჭირდებათ დაზარალებულებს ყველაზე მეტად. ამის გასარკვევად, ვაკისა და საბურთალოს გამგეობებს ვესტუმრეთ. ვითარების აღსაწერად კი, რეპორტაჟს ვაკის გამგეობიდან შემოგთავაზებთ, რადგან საკმაოდ ბევრი მოხალისე ირეოდა და უამრავ მოქალაქეს მოჰქონდა დაზარალებულებისთვის საჭირო ნივთები თუ პროდუქტი.

დახმარების სურვილი უამრავმა მოქალაქემ, არასამთავრობო ორგანიზაციამ, მეწარმემ და კერძო კომპანიამ გამოთქვა. მაგალითად, კომპანია „გორგიამ“ მოხალისეებისთვის დიდი რაოდენობით ხელთათმანი, ნიჩაბი და „ვედრო“ გამოგზავნა. მალე ბაიკერებიც გამოჩნდნენ — გავიგეთ, მოტოციკლეტები სჭირდებათ, რადგან ზოგ ადგილას მანქანით ვერ მიდიან და მზად ვართ, დაგეხმაროთო. თემური ბაიკერია, ამბობს, აქ იმიტომ მოვედი, იქნებ ვინმეს რამეში გამოვადგე, ჩემი მოტოციკლითო: **„გავიგე, ისეთ ადგილებზე სჭირდებათ მისვლა, სადაც მანქანა ვერ მიდის. სიხარულით დავეხმარები ყველას, მაგრამ 2 საათია აქ ვარ და არავინ მომაქცია ყურადღება. ჩემი აზრით, არაორგანიზებულად ნაწილდება ძალები. ყველა ახალგაზრდა სათითაოდ იძლევა დირექტივებს და ასე არ შეიძლება. ერთი კონკრეტული ადამიანი უნდა იყოს ყველაფერზე პასუხისმგებელი“.** მოვიდნენ თსუ-ს, ჯიპას, შავი ზღვისა და ილიას უნივერსიტეტების სტუდენტებიც. ყველა მზად იყო, დაზარალებულებისთვის დახმარება გაეწიათ.

ვაკის გამგეობა მოხალისეების სიმრავლით მართლაც გამოირჩეოდა. ეზოში „წითელი ჯვრის“ ორგანიზებით, სპეციალური კარვები იყო გაშლილი. შემოწირული ნივთები და პროდუქტიც თავდაპირველად აქ იყრიდა თავს, შემდეგ კი სპეციფიკისა და საჭიროებისამებრ ნაწილდებოდა. ვაკის გამგეობის აპარატის უფროსმა, თამუნა ივანიშვილმა განგვიცხადა, რომ დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად უკვე საკმარისი რესურსი გააჩნდათ, მაგრამ კარგი იქნებოდა, წყალსა და პროდუქტს მეტი რაოდენობით თუ მიაწვდიდნენ, ყველაზე ნაკლებად კი ტანსაცმელი სჭირდებოდათ. ივანიშვილის განცხადებით, მოხალისეების ჩართულობა განსაკუთრებით დასაფასებელია, გამგეობა მადლიერია, თუმცა ხშირ შემთხვევაში, მოხალისეების ასეთი დიდი რაოდენობა საჭირო არც არის. ივანიშვილმა ისიც გაგვიმხილა, რომ გამგეობა ყველაფერს აკეთებს, რათა დახმარებები სწრაფად დაახარისხონ და ადრესატამდე ორგანიზებულად მიიტანონ: **„შეიძლება ითქვას, შეუსვენებლად ვმუშაობთ. მოხალისეები 14 ივნისს, დილიდანვე მოვიდნენ. დილის 5 საათამდე ვმუშაობდით. დღის განმავლობაში 500-ზე მეტი მოხალისე მოდის, ცდილობენ ყველანაირად დაეხმარონ დაზარალებულებს. ვღებულობთ ყველანაირ დახმარებას — მედიკამენტებს, ჰიგიენის საშუალებებს, საკვებს, მინერალურ წყალს... ტანსაცმლის მოტანა ყველაზე ნაკლებადაა საჭირო. კარვები სავსეა ტანსაცმლით. დახმარების სურვილი არაერთმა ორგანიზაციამ გამოთქვა, მათ შორის: „სანტემ“, „ნიკორამ“, „ფურშეტმა“... „ბორჯომი“ დაგვპირდა, რამდენიც დაგვჭირდება, იმდენ მინერალურ წყალს მოგვაწვდის. ამ ეტაპზე 290 დაზარალებული ფიქსირდება. უმეტესობა სასტუმროებშია, შემდეგ ქირით გაიყვანენ. მათ კვებას ჩვენ უზრუნველვყოფთ, ამიტომ პროდუქტი ჩვენთვის უმნიშვნელოვანესია“.**

გამგეობის შესასვლელთან 100-მდე ახალგაზრდა ირევა, უმეტესად სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები. ნაწილი აქტიურადაა ჩართული სამუშაო პროცესში: მანქანას ტვირთავს და ნივთებს ახარისხებს, ნაწილი ჯეგირზე ზის და ელოდება, როდის „დაასაქმებენ“. ნანა შავი ზღვის უნივერსიტეტის სტუდენტია. დასახმარებლად მოვიდა, თუმცა ამ დრომდე ვერანაირ საქმეში ვერ ჩაერთო. **„დაზარალებულების დახმარების სურვილი გვაქვს. 15-მდე სტუდენტი ვართ, მაგრამ აქამდე ვერ გავერკვიეთ, რით დავკავდეთ. ახლა ნიჩბები მოიტანეს, იმედია, ჩვენც მოგვცემენ და შემთხვევის ადგილზე გაგვიშვებენ, რათა იქ მყოფებსაც დავეხმაროთ“.**

ლაშა მოხალისეა, სვანიძის ქუჩაზე ორჯერ მივიდა. ამბობს, იქ პროდუქტს სამართლიანად ანაწილებენ, თუმცა მიიჩნევს, რომ უკეთესი იქნებოდა, მეტი ორგანიზებულობა, თუმცა დასძენს, მსგავსი გამოცდილება აქამდე არ გვქონიაო: **„გამგეობაში დიდი რაოდენობით წყალია. დალევაც გვენანება, ვფიქრობთ, შეიძლება ვინმე დაზარალებულს დასჭირდეს. დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებით საქმეს. თქვენ რომ გენახათ, სტიქიის ეპიცენტრში რა ვითარებაა, ასევე მოიქცეოდით. სამწუხაროდ მოხალისეებს ყველაზე ხშირად ტანსაცმელი მოაქვთ, არადა ნაკლებად გვჭირდება. ყველაზე საჭირო ახლა წყალი და საკვებია“.**

გამგეობის შესასვლელთან კედელზე მიყუდებული ნიჩბების გვერდით ერთი ქალბატონი ზის. მოხალისეთა სიები აქვს მოგვერდით ერთი ქალბატონი ზის. მოხალისეთა სიები აქვს მარჯვებული. იმ ადამიანებს უკავშირდება, რომლებიც სტიქიის ეპიცენტრში იმყოფებიან და გაწმენდით სამუშაოებში მონაწილეობენ: „ეს სიები ყალბია. ველარ გავიგე, ვის დავუკავშირდე. იქნებ დამეხმაროთ, გავარკვიოთ, სად გავგზავნოთ მოხალისეები და რა რაოდენობის ნიჩბები გავატანოთ“, — გადაულაპარაკა ერთ-ერთ მოხალისეს. როგორც გაირკვა მედიატორების როლს გამგეობასა და მოხალისეებს შორის ისევ მოხალისეები ასრულებენ. ანუ ინფორმაციას იმის შესახებ, რა არის საჭირო და სად, რამდენი ნიჩაბი, რა ტიპის საკვები, რა ოდენობის წყალი აკლიათ, ისინი ავრცელებენ. გამგეობიდან გამოსვლისას, დაზარალებულთათვის პროდუქტის შესაძენად იქვე, სასადილოს მივაშურე. რიგში შუახნის ირანელი შემხვდა. მის გვერდით მყოფი ახალგაზრდა მამაკაცი კონსულტანტს ირანელის საუბარს უთარგმნიდა. ირანელმა 100 მოხალისის დაპურება გადაწყვიტა — ისინი დაზარალებულებს ეხმარებიან და მათზეც ხომ უნდა იზრუნოს ვინმემ. კატეგორიულად მთხოვა, მისი სახელი და გვარი არ მეხსენებინა — ანონიმურად დარჩენას ვამჯობინებო. სამი წელია საქართველოს ერთ-ერთ რეგიონში ბიზნესი მაქვს, 40 მილიონი დოლარის ინვესტიცია უნდა განვახორციელოთ, ამ ეტაპზე კი, საქმეში 7 მილიონი დოლარი გვაქვს ჩადებული, ჯამში 5 ათას ადგილობრივ მუშას დავასაქმებთო. **„საქართველო ჩემი საყვარელი ქვეყანაა. ქართველები სამაგალითო ხალხი ხართ. ყველაზე დიდი ტრაგედია ის ადამიანებია, ვისაც ვერ დავიბრუნებთ. სამწუხაროდ სახლებმა სტიქიას ვერ გაუძლო, თუმცა პოლიტიკურ ჭრილში ამ შემთხვევის განხილვა არ მინდა. მე ჩემს წილ დახმარებას აუცილებლად გავუწევ. მზად ვარ, გაწმენდითი სამუშაოებისთვის საჭირო ტექნიკა უსასყიდლოდ გამოვიყვანო. თქვენმა ხალხმა, ერთობით, საერთაშორისო საზოგადოებას სერიოზული მაგალითი უჩვენა. მიყვარს ქართველები და ამაყი ვარ, რომ აქ ვცხოვრობ“.**

სტიქიის შედეგები

13 ივნისს დედაქალაში ტრაგედია დატრიალდა. ადიდებულმა მდინარე ვერემ კალაპოტი გადმოლახა და მიმდებარე ხეობა დატბორა. სტიქიის შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა. 8 ამ დრომდე უგზოუკვლოდ დაკარგულად ითვლება. შსს-ს განმარტებით, ინფორმაციას დაკარგული ოჯახის წევრებისა თუ ახლობლების შესახებ მოქალაქეები თავად აწვდიან 112-ს. ადგილობრივ საავადმყოფოებში 7 ადამიანია განთავსებული, მაგრამ მათი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია. ჯანდაცვის სამინისტროს პრესსამსახურის უფროსის, თამარ ბოდოკიას განმარტებით ბოლო 3 დღის განმავლობაში ადგილობრივმა საავადმყოფოებმა 40-მდე მოქალაქეს გაუწიეს დახმარება: **„მომართვა დაახლოებით 40 ადამიანისგან გვქონდა. ოპერაცია მხოლოდ ერთს ჩაუტარდა, რადგან მრავლობითი მოტეხილობა აღენიშნებოდა. დღეს საავადმყოფოში 7 ადამიანი რჩება. მათი მდგომარეობა სტაბილურია რის გამოც უახლოეს დღეებში გაწერენ“.** 300-მდე ადამიანი, რომელიც სტიქიის ცენტრში ცხოვრობდა, უბინაოდ დარჩა. ხელისუფლება აცხადებს, რომ არც ერთი მათგანი საცხოვრებელი ფართის გარეშე არ დარჩება. საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის გადაწყვეტილებით, სტიქიისგან დაზარალებულ ოჯახებს სახელმწიფო 10 ათასი ლარის ოდენობის თანხასაც გამოუყოფს. სტიქიის სალიკვიდაციო სამუშაოებში მოხალისეების გარდა 350-მდე მაშველი და 100 სამხედრო მოსამსახურეა ჩართული. გამოიყენება 250-მდე სპეციალური ტექნიკა. სვანიძის ქუჩისა და გმირთა მოედნის მიმდებარე ტერიტორიების შემდეგ სტიქიამ ყველაზე მეტად ზოოპარკი დააზარალა. ვრცელდებოდა ინფორმაცია, თითქოს მტაცებელი ცხოველები თბილისის ქუჩებში დათარეშობდნენ, რის გამოც ადგილობრივები პანიკამ მოიცვა. ზოოპარკის ადმინისტრაციამ საგანგებო განცხადება გაავრცელა: **„თბილისის ზოოპარკის ბინადრების 50%-ზე მეტი დაიხრჩო. ნაწილმა ტერიტორიიდან გასვლა შეძლო. მათ შორის იყო ჰიპოპოტამი, რომლის მობილიზაცია და ზოოპარკში დაბრუნება მოხერხდა. სტიქიას გადაურჩნენ მხოლოდ ის ცხოველები, რომელთა ვოლიერებიც შემაღლებულ ადგილას იყო. მათ შორის — სპილოები, თეთრი ლომები, ლეოპარდები, ირმები, ზებრები, ლამები, ტაპირი, მარტორქა, ცივეტა, სერვალი, ჯიხვი, ცხენები, აზავერები და სხვადასხვა სახეობის ფრინველები. წყალდიდობას გადაურჩა ეგზოტარიუმიც. საძიებო სამუშაოების შედეგად ნაპოვნ და გადარჩენილ ცხოველებს შორისაა 2 დათვი, 2 ნიანგი, 2 მგელი, 6 პინგვინი, გარეული ტახის გოჭი და რამდენიმე ფრინველი. სოციალურ ქსელებში გავრცელებული სხვადასხვა ინფორმაცია და ფოტოები თბილისის უბნებში გამოჩენილ ცხოველებთან დაკავშირებით სიმართლეს არ შეესაბამება“.**

ნინი ჯაფარიძე

რატომ აიყარა ასფალტი თბილისის სამ ცენტრალურ ქუჩაზე?

დედაქალაქში წყალმომარაგება სრულად აღდგა

მაია მიშელაძე
593-51-90-12

13-14 ივნისს, თბილისში, ძლიერი წვიმისა და სტიქიის შედეგად, დედაქალაქის ცენტრალურ უბნებს — ვაკის, ვერისა და საბურთალოს ნაწილს სასმელი წყლის მიწოდება შეუწყდა. „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საავარიო ბრიგადები 24-საათიან რეჟიმში მუშაობდნენ, მაგრამ 15 ივნისს, სასმელი წყლის მილები მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩებზე, ასევე ჭავჭავაძის გამზირზე გასკდა და ასფალტი აიყარა. „ვერსია“ კომპანია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს დაუკავშირდა.

— ჩვენი ინფორმაციით, მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩებზე, ასევე ჭავჭავაძის გამზირზე ასფალტი იმიტომ აიყარა, რომ წყლის მილები გასკდა. რა მოხდა რეალურად?

— ჭავჭავაძის გამზირზე, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ მილების დაზიანებას ადგილი არ ჰქონია. ჩვენი ინფორმაციით, ასფალტის მშრალი დაწევა მოხდა, რასაც კომპანიის ქსელებთან კავშირი არ აქვს. რაც შეეხება მელიქიშვილისა და შანიძის ქუჩების კვეთას, აქ კომპანიის წყალარინების ქსელი წყალდიდობის გამო დაზიანდა. სანიაღვრე სისტემის არარსებობის გამო, ნიაღვარი ინტენსიურად ჩაედინებოდა საკანალიზაციო სისტემაში. სწორედ ამან გამოიწვია დაზიანება და ასფალტის ჩანგრევა. სამუშაოები ამ დროისთვის დასრულებულია და გზის სავალი ნაწილი აღდგენილია. რომ არა საკანალიზაციო სისტემის მუდმივი რეაბილიტაცია დედაქალაქში, რასაც კომპანია ყოველწლიურად, საკუთარი და მოზიდული რესურსით ახორციელებს, რაც წყალარინების სისტემის მდგრადობას განაპირობებს, ასეთი ძლიერი სტიქიური მოვლენების შემდეგ, სისტემა გაცილებით უარეს მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. ახლა კი მხოლოდ მცირე დაზიანებით შემოვიფარგლებით.

— რა მდგომარეობაა 13 ივნისის ტრაგედიის შემდეგ, აღდგა თუ არა დედაქალაქში წყალმომარაგება?

— დედაქალაქის მასშტაბით წყალმომარაგება აღდგენილია და ყველა უბანს წყალი ჩვეულ რეჟიმში მიეწოდება. მიუხედავად ამისა, „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერი“, თბილისში შექმნილი კრიზისული ვითარების გამო, ისევ გაძლიერებულ, 24-საათიან რეჟიმში განაგრძობს მუშაობას. მობილიზებულია კომპანიის 35 საავარიო და სადისპეტჩერო ბრიგადა, ყველა სახის სპეცტექნიკა. ეს ბრიგადები, დედაქალაქის მასშტაბით, მუდმივ რეჟიმში აწარმოებენ წყალსადენისა და საკანალიზაციო ქსელების მონიტორინგს. ასევე მობილიზებულია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ცენტრალური ლაბორატორია და დანარჩენი ლაბორატორიებიც, რომელთა ჯგუფები, ასევე 24 საათის განმავლობაში, თბილისის ყველა უბანში, წყალსადენის ქსელებზე ატარებენ წყლის ხარისხის მონიტორინგს.

რაც შეეხება წყალსადენის ქსელებზე ავარიებს, 14 ივნისს, გამთენია, სტიქიის გამო, ორი განსაკუთრებით მძიმე დაზიანება დაფიქსირდა წყალსადენის მაგისტრალურ მილსადენებზე. ამის გამო, თითქმის 2 დღის განმავლობაში, გარკვეული პრობლემები შეექმნა თბილისის ზოგიერთი უბნის წყალმომარაგებას. ადიდებულმა მდინარე ვერემ, 500 მმ-იანი მაგისტრალური წყალსადენი დააზიანა, რომელიც სასმელი წყლით ბაგებსა და ზედა ზონას — წყნეთს, წავკისს, კოჯორსა და მიმდებარე სოფლებს ამარაგებს. კომპანიის ტექნიკურმა ბრიგადებმა ურთულეს პირობებში იმუშავეს და მაგისტრალის აღდგენა 14 ივნისს, გვიან ღამით დაასრულეს, ხოლო ზედა ზონის სოფლებს წყალმომარაგება 15 ივნისს, დღის მანძილზე აღუდგა; მეორე ასევე სერიოზული დაზიანება, რომლის ლიკვიდაციაზეც კომპანიამ ოპერატიულად იზრუნა, ჭავჭავაძის გამზირი 5-ის უკან, უშუალოდ სტიქიის ზონაში, ზოოპარკის მიმდებარე ტერიტორიაზე გამავალ 900 მმ-იან მაგისტრალურ ქსელზე დაფიქსირდა. ამ დაზიანების გამო, წყალმომარაგება შეზღუდული ჰქონდა ვაკის, ვერისა და საბურთალოს ქუჩების ნაწილს, სადაც წყლის მიწოდება 14 ივნისს საღამოსვე აღდგა.

დაზიანება დაფიქსირდა სიმონ ჩიქოვანის ქუჩაზეც, სადაც კომპანიის ბრიგადები, მდინარე ვერეს მიერ მოწყვეტილი, 100 მმ-იანი მილის აღდგენაზე მუშაობენ. დაზიანების გამო, წყლის მიწოდება მხოლოდ სამ საცხოვრებელ კორპუსს შეუწყდა. ვიდრე წყალმომარაგება აღდგება, კომპანია კორპუსების მაცხოვრებლებს სასმელ წყალს ცისტერნებით მიაწვდის.

სპეციალური რეპორტაჟი სვანიძის ქუჩიდან

ბაჩო ტურაშვილი
598-47-87-14

დაფბორიღი სახლები, წყაღწაღებული საფლავები და შვიღების თვაღწინ დახოციღი მშობღები

სვანიძის ქუჩაზე, ჩვენს ყურადღებას დანგრეული სახლები, სახურავზე შემოგდებული ავტომანქანები, ერთმუშტად შეკრული მოქალაქეები იქცევენ. ნატანჯი დაზარალებულები დასახმარებლად მისულ ადამიანებს ტკივილს უზიარებენ, სახლებს და ეზოებს მოხალისეები ასუფთავებენ. ქუჩაზე გაწმენდით სამუშაოებს ატარებენ. ეზოებში გამოტანილია სტიქიისაგან დაზარალებული ოჯახების ტექნიკა. უპატრონოდაა მიტოვებული ბურთები და ველოსიპედები. საკვები პროდუქტითა და სასმელი წყლით მოხალისეებს რიგითი მოქალაქეები, სტუდენტები ამარაგებენ. ჩანგრეულია საცხოვრებელი სახლების სახურავები, ზოგან მთლიანად მიწასთანაა გასწორებული სარდაფები, პირველი და მეორე სართულები.

ასევე დაზარალდნენ წყნეთის ქუჩის მაცხოვრებლებიც. დაზიანებულია 70-ზე მეტი სახლი. უსახლკაროდ დარჩენილი ადამიანები სასტუმროებსა და წყნეთის სამთავრობო აგარაკებზე გადაიყვანეს. ტრაგედიამ თბილისელები გააერთიანა.

დაზარალებულთა უმრავლესობა მთავრობისგან დახმარებასა და შველას ითხოვს. მათი სახლები, ფაქტობრივად, აღარ არსებობს და ყველაზე მძიმე ისაა, რომ ადამიანების სიცოცხლე ემსხვერპლა ამ ტრაგედიას. თითოეული მათგანის სიკვდილმა და იმ ფაქტმა, რომ დედა შვილის თვალწინ დაიღუპა, მეზობელი მეზობლის თვალწინ და ერთად ემსხვერპლნენ სტიქიას ბიძაშვილები და დები, მთელი მსოფლიო შეძრა.

როგორც სვანიძის ქუჩის მაცხოვრებლები აცხადებენ, მათ მეზობლად სვანიძის 11-ში, ეგიაზაროვების ახალგაზრდა ოჯახი მთლიანად ამოწყდა. მათ მხოლოდ უპატრონოდ დარჩენილი ორი არასრულწლოვანი — 12 და 14 წლის ბავშვები დარჩათ, რომლებიც სიკვდილს ბეწვზე გადაურჩნენ. მათ მეზობლად ასევე დაიღუპა ორი ქალბატონი, რომელთაგან ერთ-ერთი სამძებრო სამუშაოების შედეგად იპოვეს.

„ასეთი რამ არასოდეს მინახავს, წყალმა ორსართულიან სახლებს თავზე გადაუარა. ხალხის კივილის ხმა აღარ ისმოდა, ისეთი ღვარცოფი მოვარდა. ჩემს მეზობლად წყალმა მთლიანად გადაუარა ეგიაზაროვების სახლს. ამ სახლში და მის გვერდზე არსებულ ბინაში, ახალგაზრდა ბიძაშვილი გოგონები, ეგიაზაროვები ცხოვრობდნენ. ორი და, მეორე სართულის სხვენში დაიხრჩო, ხოლო მათი ბიძაშვილები, დები, სარდაფში. ბავშვებმა მშობლების სიკვდილი საკუთარი თვალით იხილეს. მეზობლად არსებული ჯავახიშვილის სახელმწიფო ლაბორატორიიდან ისმოდა შემაძრწუნებელი ხმა, სადაც ამავე ლაბორატორიის დირექტორი და დარაჯი იყვნენ. როგორც შემდეგ გავარკვიეთ, საბედნიეროდ, ისინი გადარჩნენ. მეზობლის ბავშვები ყველა ჩემს აივანზე ამოვიყვანეთ“, — გვიამბობს დაზარალებული ქალბატონი.

სვანიძის ქუჩაზე ტრაგედიას ემსხვერპლა ასევე 78 წლის გურამ პეტრიაშვილი, რომელმაც სახლიდან გამოსვლა ვერ მოასწრო და თავისივე საცხოვრებელ ბინაში დაიღუპა. სახლის ნანგრევებიდან მისი ამოყვანა ტრაგედიიდან მესამე დღეს შსს-ს თანამშრომლებმა მოხალისეების დახმარებით შეძლეს.

სვანიძის ქუჩა №19-ის მაცხოვრებლები პრემიერ-მინისტრისა და თბილისის მერისგან დახმარებას ელიან. „ვერსიასთან“ საუბრისას **მარიამ ელიზბარაშვილმა** აღნიშნა, რომ მის ოჯახს დახმარებას ირაკლი ღარიბაშვილი და დავით ნარმანია დაპირდნენ. თითოეული მოსახლე აღნიშნავს, რომ წყალდიდობა გმირთა მოედანზე გაკეთებულმა ესტაკადამ და ვიწრო მილებმა გამოიწვია, სადაც წყალი არ გაედინებოდა: **„47 წელია აქ ვცხოვრობ და ამდაგვარი რამ ჯერ არ მინახავს. სახლიდან ძლივს გავასწარით. აზვირთებული წყალი უკან მოგვდევდა, ჭექა-ქუხილიც მატულობდა. ჩემს ქმარს ვუთხარი, მეორედ მოსვლაა-მეთქი. ოჯახში 13 ადამიანი ვცხოვრობთ პატარა ბავშვების ჩათვლით და ღმერთს მადლობა, ყველანი უვნებლად გადავრჩით. დიდი შიში გადავიტანეთ. იმედი მაქვს, ხელისუფლება დაგვეხმარება და ჩვენს კომპენსირებას მოახდენს“.**

სიკვდილს სასწაულებრივად გადაურჩნენ მამა და ორი მცირეწლოვანი ბავშვი, რომლებიც ბლის ხეზე ისხდნენ და წყლის ზედაპირი მათ მთლიანად ვერ ფარავდა.

ადიდებულმა მდინარემ ვერეს ხეობის სანაპიროზე მდებარე 60 საფლავი წაიღო. ნაპოვნია საფლავის ქვები, თუმცა ადამიანთა გვამებს ჯერ ვერ მიაგნეს.

სვანიძის ქუჩის მცხოვრებლების უმეტესობა ყვება, რომ მათი სახლები საცხოვრებლად აღარ ვარგა და ისინი ხელისუფლებისგან დახმარებას ელოდებიან. თუმცა არიან ისეთებიც, საკუთარი სახლებიდან გასვლას რომ არ აპირებენ.

გივი ბატატუნაშვილი და მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, რომ არსად გადასვლას არ აპირებენ, რადგან მათ არავითარი საფრთხე არ შექმნიათ, წყალმა მხოლოდ ჭიშკრამდე მოაღწია და უბრალოდ, კედლები დაასველა.

სტიქიის ზონაში მცხოვრები დაზარალებულები აღნიშნავენ, რომ მოხალისეთა ჯგუფების გარეშე ვერაფერს შეძლებდნენ. მოხალისეებში კი ვის არ ნახავთ — ჯარისკაცებს, სტუდენტებს, საპატრიარქოს წარმომადგენლებს... მოხალისეები სვანიძის ქუჩის მაცხოვრებლებს განმენდითი სამუშაოების ჩატარებაში ეხმარებიან, რისთვისაც დაზარალებული მოსახლეობა მათ დიდ მადლობას უხდის.

პრემიერი არ გამორიცხავს, რომ დედაქალაქისთვის მიყენებული ზარალის მიზეზებით პროკურატურა დაინტერესდეს

პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა შესაბამის სამსახურებს სტიქიის შედეგების გამომწვევი მიზეზების დადგენა დაავალა. პრემიერის თქმით ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ დედაქალაქისთვის მიყენებული მძიმე ზარალი ვერეს ხეობაში აშენებულმა ახალმა გვირაბებმა და ესტაკადამ გამოიწვია. როგორც ირაკლი ღარიბაშვილმა სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ შექმნილი საგანგებო შტაბის სხდომაზე განმარტა, სახელმწიფოს ვალდებულებაა მიზეზების შესწავლა და საზოგადოებისთვის იმის ახსნა, რა მოხდა რეალურად 13 ივნისის ღამეს: **„ბუნებრივია, ეს რამდენიმე დღე გაივლის და ემოციური ფონიც გადაივლის. ამის შემდეგ ჩვენ გვჭირდება გაანალიზება და გააზრება, რა მოხდა. ამის მიზეზების დადგენის გარეშე ჩვენ არ შეიძლება, განვვითარდეთ. ამას სჭირდება შესაბამისი კომპეტენტური დასკვნის მომზადება, თუ საჭიროა, ჩამოიყვანეთ უცხოელებიც, რათა მაქსიმალურად ობიექტური დასკვნა იყოს წარმოდგენილი. უნდა გავიგოთ, რა მოხდა. ეს იყო იმ ახალი გვირაბების მშენებლობის ბრალი თუ სხვა. დღეს ბევრი ექსპერტი საუბრობს, რომ ორმა ახალმა გვირაბმა, რომელიც აშენდა და ასევე ახალმა ესტაკადამ ვერეს ხეობაში, ნ მნიშვნელოვანწილად განაპირობა ის, რაც მოხდა. მე არ ვიცი ეს უბრალოდ ემოციური შეფასებაა თუ სიმართლე. ამიტომ ვავალებ ყველა შესაბამის სამსახურს, ამაზე მუშაობა დაიწყონ. უნდა შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და არ გამოვრიცხავ, ამის შემდეგ ამ საქმით პროკურატურაც დაინტერესდეს“.**

პრემიერმა ასევე აღნიშნა, რომ მსგავსი შემთხვევების შესწავლა, მიზეზების გაანალიზება ყველა ცივილიზებულ ქვეყანაში დეტალურად ხდება: **„მე საფრანგეთის მაგალითზე გეტყვით. რამდენიმე ქალაქში მოხდა ისე, რომ ნებართვები იქნა გაცემული უკანონოდ და ამან შემდეგ გარემოს დაზიანება გამოიწვია. ამ ნებართვების გაცემა, ასე ვთქვათ, არაკეთილსინდისიერად მოხდა და ეს ადამიანები, რომლებმაც გარემოს, იმ ქალაქებს ზიანი მიაყენეს, დაისაჯნენ. ეს აუცილებლად გასაკეთებელია. ჩვენი ვალდებულებაა, გავარკვიოთ, რეალურად რა მოხდა და არა ჩვენი სურვილი და ინტერესი. სახელმწიფო ვალდებულია შეისწავლოს და მოსახლეობას განუმარტოს, რატომ მიადგა ასეთი ზიანი დედაქალაქს და ვინც უნდა იყოს დამნაშავე, უნდა მიეცეს პასუხისგებაში, არც ესაა გამორიცხული. მაგრამ ჩვენ მხოლოდ ამა თუ იმ პირის პასუხისგებაზე არ ვფიქრობთ. საჭიროა რეალური მიზეზები დადგინდეს, რათა მომავალში თავიდან ავიცილოთ ის, რაც მოხდა. გარანტია, რომ ეს აღარ განმეორდება, არ არსებობს“.**

„პირველი“

დაავადებათა კონტროლის ცენტრი მოსახლეობას აფრთხილებს

ცენტრის ინფორმაციით გადამდებ დაავადებათა თვალსაზრისით, წყალდიდობის დროს ყველაზე მაღალი რისკისშემცველი სასმელი და რეკრეაციული წყლებია.

მათი რეკომენდაციით წყალსადენში წყლის წყვეტილი მიწოდებისას, წყალმა სასურველია იდინოს არანაკლებ 10 წუთი და შემდეგ გამოიყენოთ სასმელად ან საკვების მოსამზადებლად. არ გამოიყენოთ სასმელად წყალი ადუღების გარეშე, თუ მის უვნებლობაში არ ხართ დარწმუნებული. ანადუღარი წყალი ვარგისია 24 საათის განმავლობაში.

სასურველია წყლის გამწმენდი სხვადასხვა ტიპის საოჯახო ფილტრების გამოყენება; შეგროვილი სასმელი წყალი შეინახეთ სუფთა, დახურულ რეზერვუარში და არ გამოიყენოთ წყლის შესანახი ჭურჭელი სხვა დანიშნულებით (რძის ან სხვა სითხის შესანახად); გამოიყენეთ სუფთა სასმელი წყალი: ხილისა და ბოსტნეულის გასარეცხად; საკვების მოსამზადებლად; სასმელების დასამზადებლად; ყინულის მოსამზადებლად; ჭურჭლისა და სამზარეულოს სხვა ინვენტარის გასარეცხად; ხელების დასაბანად. ღია წყალსატევში ბანაობისას ან თევზჭერისას არ ჩაყლაპოთ წყალი.

„პირველი“

სკანდალური დასკვნა, რომელსაც ყურადღება არავინ მიაქცია

რამ გამოიწვია მდინარის აღიღება და რა რეკომენდაციები უნდა გაეთვალისწინებინა „ნაციონალურ ხელისუფლებას“ ესტაკადის მშენებლობისას

თამარ ლომსაძე
599-20-94-01

ყველა, როგორც ერთი — დღეს ერიც და ბერიც ერთად დგას და მათ შემხედვარეს კიდევ გიღვივის იმედის ნაპერწკალი — თურმე ერთად დგომა კვლავ შეგვძლებია... თუმცა ვიღაცებისთვის 13 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედია პოლიტიკური ქულების დაწერის შესანიშნავ საშუალებად ქცეულა, ვიღაცებისთვის ცოდვილთა „სწორ გზაზე დასაყენებლად“, ვიღაცები კი შანსს არ უშვებენ, დამნაშავეების ძებნაში სახრე ყველა მხარეს იქნიონ.

„ჩვენ ხომ ვამბობდით“, — ისმის არაერთი მხრიდან და რეალურად ძნელია გაერკვე — ვინაა დამნაშავე!!! ვინმეს თუ ეყოფა ძალა, 13 ივნისის ცოდვის კალო საკუთარ დანაშაულად აღიაროს?! არადა, „ვერსიას“ ყველაზე მეტად ეთქმის — გაფრთხილებდით! ისევე, როგორც სამეცნიერო კვლევით ცენტრ „გამას“, როცა 2011 წელს, ახალი გზის მშენებლობამდე ვერეს ხეობაში არსებული ვითარება საფუძვლიანად შეისწავლეს და შემდეგი დასკვნაც დადეს:

„მდინარე ვერეს წყალი არამცთუ დაილევა, მასში ბანაობაც აკრძალულია“, — ასეთი გახლდათ „გამას“ დასკვნა, როცა ვერეს ხეობის ეკოლოგიური მდგომარეობა შეაფასეს. მაშინ წყლის, გრუნტის ნიადაგის სინჯები აიღეს და გმირთა მოედნის ქვეშ გამავალი გვირაბიდან ნაფეტვრების გზაჯვარედინამდე თითოეული მილიმეტრი შეამოწმეს. **„მდინარე ვერეს კალაპოტი არაერთ ადგილასაა ჩახერგილი მოთხრილი ხეებით, შემცირებულია გამტარუნარიანობა... ვერეს ხეობისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს მზიურის ტერიტორიაზე და ხეობის გარშემო აგებული მრავალსართულიანი შენობები... ვერეს ხეობაში განთავსებულია სხვადასხვა დიამეტრის საკანალიზაციო კოლექტორები, ისინი განკუთვნილია საცხოვრებელი სახლებისა და ორგანიზაციების სამეურნეო ფეკალური ჩამდინარე წყლების არინებისთვის. ზოგიერთი საკანალიზაციო მილი კვეთს ვერეს ხეობას. უმეტესობა დაზიანებულია, აქვს მცირე გამტარიანობა, საკანალიზაციო მილების სიმრავლე იწვევს წყლის მნიშვნელოვან დაბინძურებას. თითქმის მთელი ტერიტორია გადავსებულია საყოფაცხოვრებო ნარჩენებით, დაბინძურებულია მდინარის ორივე სანაპიროს ფერდობები და თვით მდინარის კალაპოტი, ხეობის დიდი ნაწილი წარმოადგენს არასანქცირებულ ნაგავსაყრელს. გარდა ამისა, ხეობის ტერიტორიაზე არის ისეთი სახიფათო ნარჩენები, როგორიცაა აზბესტის ფილები, ბიტუმი, მაზუთი, უცნობი ქიმიური ნივთიერებები, რაც მოსახლეობის ჯანმრთელობაზე ნეგატიურად მოქმედებს“**. ასეთია კვლევითი ცენტრის ანგარიში, ხოლო რაც შეეხება რეკომენდაციებს, **„აუცილებელია მძიმე ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით კომპლექსური ღონისძიებების გატარება, რაც ითვალისწინებს ხეობის გაწმენდას სამშენებლო და საყოფაცხოვრებო ნაგვისგან“.**

„ვერსია“ სამეცნიერო კვლევითი ცენტრ „გამას“ დირექტორს, **ვახტანგ გვახარიას** დაუკავშირდა იმის გასარკვევად, რამდენად შესრულდა წლების წინ მათ ანგარიშში გაცემული რეკომენდაციები და რამდენად მძიმე იყო ვერეს ხეობაში არსებული ვითარება 2011 წელს.

„კვლევისას აშკარა გახდა, რომ ვერეს ხეობაში ვითარება რეალურად მძიმე იყო ეკოლოგიური თვალსაზრისით — სხვადასხვა სახის ნარჩენები, როგორც საყოფაცხოვრებო, ისე სამრეწველო, ნავთობპროდუქტები... უდავოდ მძიმე ფონს ქმნიდა. გარდა ამისა, ასამდე კოლექტორი ჩადიოდა მდინარეში, ზოგი კონდიციური, ზოგი არაკონდიციური... ვსაუბრობდით, როგორ ირეცხებოდა ნაპირი, თუმცა ჩვენ მხოლოდ ვიზუალური აუდიტი ჩავატარეთ“, — აცხადებს ცენტრის დირექტორი ვახტანგ გვახარია, რომელიც ახალი გზის მშენებლობის პროექტზე კომენტარისგან თავს იკავებს ერთადერთი მიზეზით — **„ჩვენ არ ვიცნობდით პროექტს და მაშინ არც იყო, არსებობდა მხოლოდ იდეა... გარემოსდაცვითი ეკოლოგიური სურათი დავხატეთ“.**

ეკოლოგიური სურათი კი, უდავოდ, არასახარბიელო გახლდათ, ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნე ქიმიური ნივთიერებები, საყოფაცხოვრებო თუ სამრეწველო ნაგავი და მაღალსართულიანი შენობები — ნუთუ ეს რისკფაქტორები არ იყო საკმარისი, ძლიერთა ამა ქვეყნისა ყური შეეხერტყათ და რაღაც მაინც გაეკეთებინათ გართულების თავიდან ასაცილებლად. ალბათ, არც ის იქნება ურიგო, მიდგომები შეიცვალოს და მსგავსი კვლევების შემდეგ მონიტორინგიც ხორციელდებოდეს, შესრულდა თუ არა გაცემული რეკომენდაციები. ვახტანგ გვახარია აცხადებს, რომ მათი საქმე მხოლოდ კვლევა იყო: **„რა მოხდა მერე, არ ვიცი.. სიმართლე გითხრათ, არც ვარ განწყობილი, ვინმე დავადანაშაულო, ერთს კი ვიტყვი — პირადად არაერთხელ მისარგებლია ამ მაგისტრალით და ფაქტია — ბევრი რამ მოწესრიგებული იყო... მართალია, ჩემთვის შესამჩნევი მცირე ხარვეზები არსებობდა, მაგრამ ძირითადი პრობლემები მოგვარებული გახლდათ, წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ გარემოსდაცვის კუთხით ამ საკითხებს არ გადაჭრიდნენ, გზას ვერ ააშენებდნენ“...**

ბატონი ვახტანგისგან განსხვავებული პოზიცია აქვს ბიოლოგ ქალბატონს, რომელიც უშუალოდ მონაწილეობდა კვლევაში და მიუხედავად იმისა, რომ ვინაობის გამხელა არ ისურვა, „ვერსიასთან“ განაცხადა, იმ პერიოდში გარემოსდამცველთა და სხვა კომპეტენტურ პირთა რეკომენდაციები ყურს იქით გაუშვესო: **„ს

ფიქრია ჩიხრაძე ოპოზიციის „გეგმა მაქსიმუმს“ ამხელს

რა ხელმოწერები გადაიგზავნა პარლამენტში, მოაწყობენ თუ არა საპროტესტო აქციებს და რა შემთხვევაში გამოცხადდება 2016 წლის არჩევნების შედეგი არალეგიტიმურად

ნინო კომახიძე
599-95-33-16

მართალია, სტიქიამ თბილისში ყველა თემა გადაფარა, თუმცა პოლიტიკური პროცესი მაინც გრძელდება და ოპოზიცია, ცოტა ხანში, ალბათ ახალი დილემის წინაშე დადგება — ქუჩის აქციები თუ კაბინეტური ბრძოლა საარჩევნო სისტემის შესაცვლელად. მანამდე კი უპრეცედენტოდ დიდი გაერთიანება, რომელიც თანამოაზრეთა რიგებში არასამთავრობოებსა და პრეზიდენტსაც მიიწერს, ხელისუფლებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას შუალედური არჩევნების გამოტოვებით გეგმავს. რას აპირებენ ოპოზიციური პარტიები, რა არის მათი გეგმა-მაქსიმუმი და რა შემთხვევაში შეიძლება საკონსტიტუციო სასამართლომ მომავალი, 2016 წლის არჩევნები არალეგიტიმურად გამოაცხადოს. „ვერსიას“ ახალი მემარჯვენეების თავმჯდომარე ფიქრია ჩიხრაძე ესაუბრება.

— ამდენი განსხვავებული პარტია, სამოქალაქო სექტორთან ერთად, კონკრეტულ საარჩევნო ფორმულაზე აქამდე არასოდეს შეჯერებულა. ამ ხნის განმავლობაში, „რვიანის“, „ექვსიანისა“ და სხვა გაერთიანებების შემდეგ, იმხელა გამოცდილება დაგროვდა, რომ რა უკეთესია, უკვე დავას აღარ იწვევს. თანაც შეიცვალა ხელისუფლება, რომელიც არაფერს თმობდა და რომელთან საუბარიც ჭირდა. სისტემის შეცვლის იმედი კი მაშინ გაჩნდა, როცა ხელისუფლებაში ჩვენი ყოფილი თანამებრძოლები მოვიდნენ. ამ ბრძოლას ჩემთვის 15-წლიანი ისტორია აქვს, თუმცა „ქართულ ოცნებას“ პასუხი მუდმივად არ ჰქონდა. მხოლოდ მას მერე, რაც პრეზიდენტთან ჩატარებული კონფერენციისას ერთიანი დოკუმენტი გაფორმდა, რომელსაც ხელი 15-მა პარტიამ და 8 არასამთავრობო ორგანიზაციამ, ასევე საარჩევნო ექსპერტებმა მოვაწერეთ და მივმართეთ პარლამენტს, საკონსტიტუციო ცვლილების ინიცირების თხოვნით. ხელისუფლებამ კი საოცრება გვიპასუხა — თქვენი კონსენსუსი იმაზე უმნიშვნელოა, ვიდრე ჩვენი შიდაკოალიციური კონსენსუსიო. გვეუბნებიან, კარგი მოდელით არჩევნები 2020 წელს ჩავატაროთო და რაღაც უმნიშვნელო ცვლილებები გადმოგვიგდეს. იმის მტკიცებაც არ გვჭირდება, რომ ჩვენს მიერ შეთავაზებული სამხარეო-პროპორციული სისტემა უფრო სამართლიანია, „ოცნება“ თავად გვიდასტურებს, ასეაო. არადა, ისედაც ამდენი დრო დაიხარჯა ცუდ საარჩევნო სისტემაზე და რატომ ვართმევთ ჩვენს ქვეყანას კიდევ 4 წელს? ამასობაში, მაჟორიტართა კორპუსი მართლა მაფიოზურ კლანად ჩამოყალიბდა. ბოლო ბოლო, ხელისუფლებები გამოვიცვალეთ და ეს მაჟორიტარები ვერ გამოცვალეს მთელმა რიგმა რაიონებმა!

— „რვიანი“, „ექვსიანი“ ახსენეთ. ოპოზიციის ერთობა მორიგი ანტურაჟია თუ ამჯერად, ბოლომდე ბრძოლას აპირებთ?

— რაც შეეხება შუალედური არჩევნების ბოიკოტს, ნინო ბურჯანაძემ თქვა, არ მივიღებ მონაწილეობასო. ჩვენც მიგვაჩნია საჭიროდ, რომ საკითხის სრულად გაშიშვლებისთვის მაჟორიტარული სისტემისადმი ჩვენი დამოკიდებულება ასე გამოვხატოთ.

— საინტერესოა, მართლა თუ ევაჭრებოდა ხელისუფლება საპარლამენტო ოპოზიციას — ამ კარგ პაკეტს მიიღებდა, პარლამენტის თბილისში გადმოტანისა და პრეზიდენტის პირდაპირი წესით არჩევის შეცვლის სანაცვლოდ?

— ასეთი საუბარი მართლაც იყო, თან არაერთხელ, მაგრამ ამას რაიმე კონკრეტული წინადადება არ მოჰყოლია. ასევე საუბარი იყო, ეს საკითხები ერთიან პაკეტში განვიხილოთო. როგორც ვიცი, ოპოზიცია თანახმა იყო, ოღონდ ეს პაკეტი გონივრული უნდა ყოფილიყო, თუმცა კონკრეტული წინადადებები არ წამოსულა. „ოცნებას“ ქუთაისში სიარული რომ არ მოსწონს და კვორუმს ვერ აგროვებენ, ვიცით. ისიც ვიცით, რომ ხელისუფლებას არც ხალხის მიერ არჩეული მაღალი ლეგიტიმაციის პრეზიდენტი მოსწონს, თუმცა მას არც ამ პაკეტის შემოთავაზების უნარი აღმოაჩნდა. ვერ დავიჯერებ, რესპუბლიკელებს, ეროვნულ ფორუმს, კონსერვატორებს ერთად ებრძოლათ კოალიციაში რაღაცის გასატანად და ეს ვერ მოეხერხებინათ. ეს მათი ერთობლივი გადაწყვეტილება და თანხმობაა, ეგებ, ასე მაინც შევრჩეთ ამ კოალიციას და ძალაუფლება შევინარჩუნოთო.

— ისე, ოპოზიციამ ერთად დადგომა სააკაშვილის მმართველობის დროს ერთხელ მაინც რატომ ვერ მოახერხა?

— არ ვიცი. მაშინ ბევრი ოპოზიციური ძალა ქუჩის აქციებში მონაწილეობდა და მოლაპარაკებებზე არც დადიოდა. სამოქალაქო საზოგადოება სრულიად სხვა მოთხოვნებს აყენებდა, აღარც ე.წ. საარჩევნო რვიანი იყო ერთსულოვანი.

— მოდით, დღეს უპასუხეთ რამდენიმე ძალას, ასევე ხელისუფლების წარმომადგენლებს, ვინც თქვენი პარტიისკენ იშვერს ხელს და ამბობს, რომ პირველებმა თქვენ დაშალეთ „რვიანი“ – რა მოხდა მაშინ?

— მილიონებზეც ბევრი ილაპარაკეს, სულ მილიონზე გაყიდულები გვეძახეს, რაც ჩვენი მეშვეობით ჩაიდო საარჩევნო კანონმდებლობაში და რითაც, ჩვენს გარდა, ყველამ იხეირა, მათ შორის, ზუსტად „ოცნების“ შემადგენლობაში არსებულმა მაშინდელმა ოპოზიციურმა პარტიებმა. „რვიანმა“ დაამთავრა მუშაობა და დღის წესრიგში დადგა საკითხი, რა ფორმით გაგვეგრძელებინა ერთობლივი მოქმედება, აქციებით თუ ა.შ. როცა 26 მაისის დარბევა ახალი მომხდარი იყო და ძირითადი ძალები ისედაც ქუჩაში იყვნენ, იყო მოსაზრება, აგვისტოდან ჩვენც გიჟებივით ქუჩაში გამოვვარდნილიყავით. ეს გონიერებას იყო მოკლებული და ვთქვით კიდეც, რომ არ გამოვიდოდა. „რვიანი“ რომ დაიშალა, „ექვსიანიც“ მალევე მიჰყვა, უბრალოდ, ზუსტად იმ დღეებში ივანიშვილი გამოჩნდა და სხვა ყველაფერი გადაფარა.

— ალბათ, აქციები ამ თემაზე არც ახლა გაჭრის, ხალხს კოდექსი არ ანაღვლებს და ქუჩაში ვერ გამოიყვანთ. არადა, ყური მოვკარი, აქციები შემოდგომაზე იგეგმებაო, მართალია?

— საერთოდ, ხალხი ცუდ საარჩევნო სისტემას საკუთარ პრობლემად არ თვლის. შეიძლება, იმასაც ფიქრობენ, როცა კრედიტები გვაქვს გადასახდელი და ლუკმა-პური საშოვნელი, რა ტვინი შეჭამეს ამ საარჩევნო კოდექსზე საუბრითო. თავის დროზე, შიმშილობაც იმიტომ გადავწყვიტეთ, რომ მიუხედავად ოპოზიციის აქტიურობის პიკისა, კოდექსის თემა ხალხს არც მაშინ აინტერესებდა. ხელისუფლებამ ჩვენი შეთანხმება, რაც საპრეზიდენტო არჩევნების მერე, 2008 წელს გაფორმდა, თავზე დაგვახია და შიმშილობა ერთადერთი ფორმა იყო ჩვენი პროტესტის გამოსახატად. ასევე მახსოვს 2003 წელი, როცა საარჩევნო თემების გარშემო ქუჩაში მაქსიმუმ 5 000 ადამიანი გამოგვყავდა, თუმცა არ ნიშნავს, ეს საკითხი მნიშვნელოვანი არ არის. ბიძინა ივანიშვილს ისტორიული როლის შესრულება მართლა შეუძლია — თავად ეძახდა მაჟორიტარებს ფეოდალებს. დარწმუნებული ვარ, თუკი იტყვის, სისტემა შეცვალეთო, არც ოქრუაშვილი გაახსენდება ვინმეს, აღარც ბუკია და არც ნებისმიერი სხვა დეპუტატი. რესპუბლიკებიც გადათქვამენ თავის აზრს, კონსერვატორებიცა და სრულიად მოსწრებადი გახდება ეს ცვლილებები ორ, საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიაზე. თუმცა იმაშიც დარწმუნებული ვარ, ივანიშვილი საარჩევნო საკითხებში დეტალურად ვერ ერკვევა, იმისგან განსხვავებით, ვინც მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდა და ეს ცუდი მოდელები წინ დაუდო. შეურაცხმყოფელი იყო, როცა ამდენი ხანია ამ თემებზე ვმსჯელობთ, კოალიცია კი პოლიტსაბჭოზე შეიკრიბა და ორ საათში გამოაცხადა პასუხი. ხელები არ ჩამოგვიყრია, ქუჩის აქციები ჩვენი პარტიის მოწოდება არ არის, მაგრამ არსენალიდან არც ამის გამორიცხვა შეიძლება. მეორე მხრივ, საკონსტიტუციო სასამართლომაც გამოიტანა ვერდიქტი და ახლა პარლამენტისგან ადეკვატური პასუხი უნდა მიიღოს.

— რატომ, ხელისუფლების პოზიცია, რომ ოლქებში ამომრჩევლების რაოდენობა გათანაბრდება, ადეკვატური პასუხი არ არის?

— არა, ვერ გაათანაბრებს... უბრალოდ, მეტ-ნაკლებ კორექტირებას მოახდენს. წესით, ოლქებში ამომრჩეველთა რაოდენობის მხრივ, 15%-იან ცდომილებაზე მეტი არ უნდა იყოს, ხელისუფლების მიერ შეთავაზებულ ვარიანტში კი, ზოგან მაინც 600%-იანი სხვაობა გამოდის, ეს კი ადეკვატური პასები არაა.

— მაშინ ისაა საინტერესო, ამის მერე რას აკეთებს საკონსტიტუციო სასამართლო, რა ბერკეტი აქვს, თუკი ხელისუფლება მის დადგენილებას არ შეასრულებს?

— სასამართლოს შეუძლია გამოსცეს აქტი და ხელისუფლებას პირდაპირ მიუთითოს, რა გააკეთოს; არის სხვა მექანიზმიც. საკონსტიტუციო სასამართლოს შესაძლოა სხვა პირმა მიმართოს განცხადებით, რომ მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ შესრულდა და პროცესი არაკონსტიტუციურია. ამის საბოლოო შედეგი შეიძლება 2016 წლის არჩევნების არალეგიტიმურად ცნობა იყოს. ამით ძალიან მძიმე მემკვიდრეობას უტოვებენ მომავალ პარლამენტს, თუმცა აქამდე დიდი გზაა. თუნდაც ის, რომ ჩვენ უკვე მოვუწოდეთ საპარლამენტო ოპოზიციას და სწორედ მათი დამსახურებით, კვორუმი არ შედგა. ეს მოწოდება ძალაში რჩება. საპარლამენტო ოპოზიციამ ხელისუფლება იქამდე უნდა მიიყვანოს, საარჩევნო კოდექსის ცვლილებების ფართო საზოგადოების მიერ მოწონებული პაკეტი განიხილოს.

— ვიდრე თქვენ ფართო კონსენსუსზე საუბრობთ, ერთ-ერთი ოპოზიციონერი სერგო ჯავახიძე ამბობს, რომ ყველაფერი ფარსია და თქვენს ბოიკოტს არ უერთდება.

— აი, სერგო ჯავახიძის იმედად თუა ახლა ჩვენი ხელისუფლება, ამ ფართო კონსენსუსის პირობებში, კარგად ჰქონია საქმე.

— თქვენ დარწმუნებული ხართ ამდენი პარტიის ერთსულოვნებაში?

— ყველაფერი უკვე გაკეთებულია, შედეგი დამდგარია, ოპოზიციას ადრე სწორედ ერთ საერთო მოთხოვნამდე მისვლა უჭირდა, ახლა კი საქმე სრულიად გამარტივებულია. ხელმოწერებიც დაგზავნილია პარლამენტში და მგონი, არასერიოზული იქნება, ვინმე გამოვიდეს და აყვირდეს, ჩემი ხელმოწერა უკან გამოითხოვეთო. ამიტომ ხელისუფლება, სულ რომ ვინმე გამოაგდოს და ჩვენს საწინააღმდეგოდ ალაპარაკოს, ამით მაინც ვერაფერს მიიღებს.

— შეიძლება, საარჩევნო კანონმდებლობა ის თემა გახდეს, რომელიც ხელისუფლებას გადაიყოლებს?

— რატომაც არა, სხვა საკითხებთან ერთად. ამისთანა ხელისუფლებები გადაუყოლებია? მით უმეტეს, ასეთი უნიათო მართლა არავინ მინახავს.

ვერსიანიუსი

საფრანგეთთან საჰაერო თავდაცვითი შეიარაღების შეძენის თაობაზე ხელშეკრულება გაფორმდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი, თინა ხიდაშელი პარიზის 51-ე საერთაშორისო სამხედრო-საავიაციო შოუს დაესწრო.

ლაბერჟეს საავიაციო გამოფენის ფარგლებში, საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და ფრანგულ მხარეს შორის კონტრაქტს მოეწერა ხელი.

„დავასრულეთ პირველი ეტაპი ფრანგებთან მოლაპარაკების და გაფორმდა ხელშეკრულება, რომელზეც ამდენი საუბარი იყო საქართველოში. პირველ რიგში, მინდა მადლობა გადავუხადო ჩემს ორ წინამორბედ მინისტრს იმისთვის, რომ ეს პროცესი დაიწყეს, წარმართეს და მე მერგო პატივი, რომ პროცესი დამესრულებინა, ხელშეკრულებისთვის საბოლოო ფორმა მიგვეცა და ხელი მოგვეწერა. მინდა მთელ საქართველოს ვუთხრა, რომ შესაძლებლობა, რომელიც გაუჩნდა საქართველოს არის უმნიშვნელოვანესი მისი თავდაცვისუნარიანობისა და უსაფრთხოების გაძლიერებისთვის და მადლობა ვუთხრა ფრანგულ მხარეს კონსტრუქციული თანამშრომლობისთვის. პირობები არის მაქსიმალურად მომგებიანი ჩვენი ქვეყნისთვის. ხელშეკრულებაც ძალიან წარმატებულია და დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია ძალიან გრძელი პროცესის, რომელიც მოემსახურება ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მეტად განმტკიცებასა და გაძლიერებას“.

საფრანგეთში იმყოფება საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი, გენერალ-მაიორი ვახტანგ კაპანაძეც.

თავდაცვის მინისტრმა და გენერალური შტაბის უფროსმა ავიაშოუზე წარმოდგენილი ტექნიკა დაათვალიერეს. პარიზის ავიაშოუ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო კომერციული გამოფენაა, სადაც სამხედრო და სამოქალაქო საფრენი აპარატები და უახლესი ტექნოლოგიური მიღწევებია წარმოდგენილი. ღონისძიებას საერთაშორისო მწარმოებლებთან ერთად სხვადასხვა ქვეყნების შეიარაღებული ძალების წარმომადგენლები ესწრებიან.

თინა ხიდაშელი საფრანგეთის რესპუბლიკის თავდაცვის მინისტრს, ჟან ივ ლე დრიანს შეხვდა. ფრანგ კოლეგასთან საქართველოსა და საფრანგეთს შორის თავდაცვის სფეროში ორმხრივი თანამშრომლობის საკითხები განიხილეს.

„პირველი“

პატიმარი №0578

გიგა ბოკერიას დედის მოძალადე „მოსწავლე“

რაფომ არ დაიხსნა ნაციონალების იდეოლოგმა ციხიდან ყაჩაღობაზე ბრალდებული ნაცნობი

სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ძალიან ცოტაა ისეთი პატიმარი, რომელიც ამბობს, რომ გათავისუფლების შემდეგ ისევ კრიმინალს ჩაიდენს. არა, მართალია, ბევრს სახეზე აწერია, რომ გამფუჭებელია, მაგრამ არ აღიარებს. აი, ბადრი ო. ამ მხრივ ყველასგან გამორჩეული იყო.

როცა პატიმარი №0578 რუსთავის ზონაზე მიიყვანეს და 14-კაციან კამერაში შეუშვეს, ბადრი იქ დახვდა. ნარზე იყო წამოწოლილი, გვერდით ჭადრაკის დაფა ედო და ნებისმიერ მსურველს ეთამაშებოდა. ძირითადად იგებდა და როცა მოიგებდა, ბავშვივით ხარობდა. ერთი კვირა №0578 უბრალოდ არ ეკონტაქტებოდა, რაღაც არეული თვალები აქვს ამ ბადრისო, თავისთვის ფიქრობდა და დიდ ინტერესს არც თავად ბადრი იჩენდა. ერთი კვირის შემდეგ კი საინტერესო ამბავი მოხდა. ბადრის წამალი დაუგვიანეს და ხმაური ატეხა. ჯერ მკაცრად უთხრა ოფიცერს, წამალი გადმომიტანეთო, მერე იყვირა, ბოლოს იღრიალა და ისეთი ხმა ამოუშვა, მთელმა ზონამ გაიგო. ბადრი არ ჩუმდებოდა, თანასაკნელები არაფერს ამბობდნენ, წამალი კი არ მოჰქონდათ.

„შენ დიდხანს უნდა იყვირო?!“ — ჰკითხა №0578-მა.

ბადრი გაჩუმდა, გაოცებით შეხედა პატიმარს, თითქოს პირველად ხედავსო და ნერვული, აკანკალებული ხმით უთხრა: „შენ ვინ გკითხავს?!“

„თუ ატყობ, ამ კამერაში მეც ვცხოვრობ, კარი დაკეტილია, გარეთ რომ გავიდე და შენს წიოკს არ ვუსმინო, ამიტომ ან დაწყნარდი, ან შეევეცდები, დაგაწყნარო“, — გაუღიმა №0578-მა.

ბადრი შეცბა, არ ელოდა ახლადმოსული პატიმრისგან ასეთ სიტყვებს, თუმცა აზრზე მალე მოვიდა და კბილებში გამოსცრა: „აბა, დამაწყნარე!“

პატიმარმა თანასაკნელს გაუღიმა, ტუჩები ყურთან მიუტანა და რაღაც ჩასჩურჩულა. ბადრიმ ჯერ გაოცებით შეხედა, მერე გაეღიმა, ნარზე ავიდა და წამოწვა.

„რა უთხარი?!“ — ჰკითხა №0578-ს რეზომ.

„არაფერი, უბრალოდ ვუთხარი, რომ ლამაზი თვალები აქვს და უნდა გაუფრთხილდეს“, — გაეცინა პატიმარს და საკნის კარზე დააბრახუნა. ოფიცერმა „კარმუშკა“ გადმოაღო.

„ამ კაცისთვის წამალი რატომ არ მოგაქვთ?!“

„გათავდა, აღარ არის. ხვალ მოიტანენ და მივცემთ. დღეს რამდენიც უნდა იყვიროს, შანსი არაა, ამისთვის არავინ შემოიტანს“, — აუხსნა ოფიცერმა.

„ახლა ჯაჯღანას კამერაში წადი, უთხარი, №0578-ს წამალი უნდა-თქო, აქვთ იქ ეგ აბები და გამოგატანონ“, — ხმადაბლა უთხრა №0578-მა და ათ წუთში ბადრის სასურველი აბები მოუტანეს.

მეორე დილით ბადრი №0578-ს თავის ჭადრაკის დაფით დაადგა, ნარზე ჩამოუჯდა და ღიმილით უთხრა, მეთამაშეო. თამაში დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, ხან ერთი იგებდა, ხან მეორე, ბოლოს კი ბადრიმ ჩუმად თქვა: „იცი, ჭადრაკის თამაში გიგა ბოკერიას დედამ მასწავლა“.

„გადამრევ შენ! გინდა თქვა, რომ ბოკერიას დედას იცნობ?!“ — გაუკვირდა №0578-ს.

„კი, როგორ არ ვიცნობ, ჩათვალე ჩვენი ოჯახის წევრია“, — თვალები გაუბრწყინდა ბადრის.

„მერე აქ რა გინდა?! გიგამ თუ მოინდომა, შენ კი არა, სამუდამომისჯილებს შეაწყალებინებს მიშას“.

„ეგ ვიცი, მაგრამ... იცი, როგორ არის? გიგამ ერთხელ უკვე გამომაგდო, ორჯერ, სამჯერ... ბოლოს თქვა, შემეშვითო და მართალია ის კაცი“, — ნაღვლიანად გაიღიმა ბადრიმ.

„და რას აშავებდი ასეთს?!“ — დაინტერესდა №0578.

„ვყაჩაღობდი, ჩემო ძმაო, ვყაჩაღობდი. აი, ვიღაც ხომ ქურდობს, ვიღაც წამალს იკეთებს. მე სულით ყაჩაღი ვარ“, — ამაყად თქვა ბადრიმ.

„მოიცა, შეგიძლია ამიხსნა, რას ნიშნავს სულით ყაჩაღი?!“ — გაოცდა №0578.

„რას და ძალადობა მიყვარს, რა. ვერ ვძლებ ისე. რომ მითხრან, მილიონს მოიპარავ და სახიფათო არ არისო და ნახევარი მილიონი საყაჩაღოა და ხიფათიაო, ყაჩაღობას ავირჩევ. აი, ქალთან როცა ვარ, იქაც ძალადობა მიყვარს. კი არ ვაუპატიურებ, მაგრამ მინდა რაღაც ვატკინო, იყვიროს, იღრიალოს, გესმის?!“ — ბადრის თვალები აენთო.

„არა, მართლა არ მესმის. ქალთან სექსი თუ გაქვს, რატომ უნდა ატკინო? და შეგიძლია მითხრა, რას ყაჩაღობდი, სად ყაჩაღობდი, როგორ ყაჩაღობდი?!“ — აშკარად გაოცებული იყო №0578.

„როგორ არ შემიძლია?! ძირითადად მარტო დავდიოდი. სოფელში თუ ჩავდიოდი ჩემებთან, მაშინ ფერმებს ვაყაჩაღებდი, გავირეკავდი საქონელს და მივდიოდი. კაპიკებში ვაბარებდით, მაგრამ მიხაროდა...“

„მოიცა, პატრონი რომ დაგდევნებოდა და დაგწეოდა, რა უნდა გექნა?!“ — დაინტერესდა №0578.

„მე კი არა, იმას რა უნდა ექნა, თორემ მე ავტომატი მქონდა მხარზე გადაგდებული. ეს ისე, იშვიათად, თბილისში, საქმე თუ არ იყო, ტაქსებს ვაყაჩაღებდი. შეიძლებოდა ჯიბეში ათასი ლარი მქონოდა, მაგრამ ტაქსისთვის ათი ლარი წამერთმია. ვერ ვძლებ, გესმის?!“ — ბადრი ფიქრებით აშკარად გარეთ იყო და ოცნებაში ყაჩაღობდა.

„რაც შენ ჩამოთვალე, ვაჟკაცობაში ვერ ჩამოგართმევ. დაუცველი ფერმერების და უფრო დაუცველი ტაქსისტების ყაჩაღობა საქმე და გმირობა გგონია?!“ — №0578-ს ხმაზე შეეტყო, რომ გაბრაზდა.

„არა, ეს ისე გითხარი, როცა მოწყენილი ვიყავი და ვერ ვძლებდი ძალადობის გარეშე. ისე მაღაზიაც დაყაჩაღებული მაქვს, ლომბარდიც, ბინებს ხომ ვინ ჩამოთვლის. მაგრამ მარტო ფულზე არ არის საქმე. უნდა ვიძალადო, გესმის? უნდა შეეშინდეთ, შეშინებულ თვალებზე ვკაიფობ. როგორც ღმერთს, ისე გიყურებენ, მათი სიცოცხლე ხომ შენს ხელშია?! გესმის, ეს რა არის? გულის ფეთქვას მაისურიდან ხედავ და ამაზე ვკაიფობ. სექსივით არის, რა“, — ისევ ოცნებებში წავიდა ბადრი.

„ბევრი ფული მაქვს ნაშოვნიო და... ექიმთან რომ მისულიყავი და ფსიქოლოგი აგეყვანა, არა?!“ — აშკარად სერიოზულად უთხრა №0578-მა.

„რად მინდა ექიმი? ავად კი არ ვარ, უბრალოდ ძალადობა მომწონს. აი, აქედანაც რომ გავალ, მაშინაც ვიყაჩაღებ, არ ვმალავ, რომ იგივეს ვიზამ. არ შემიძლია სხვანაირად და რა ვქნა. მაგიტომ არ მომყავს ცოლი, ადრე თუ გვიან დამიჭერენ ისევ და დარჩება ჩემი ცოლი სხვას საჯიჯგნად. ფულს რაც შეეხება, ნაყაჩაღარი ფულით სახლი ვიყიდე თბილისში, საკუთარი სახლი, მანქანაც... კი არ ვხარჯავდი, ვფანტავდი და რომ გავალ, ასევე იქნება“, — დაბეჯითებით თქვა ბადრიმ.

„და ბიზნესი რომ გეცადა, არა?!“ — ჰკითხა №0578-მა.

„რა ბიზნესი?! ჩადე ფული, მერე იმაზე ინერვიულე, გაამართლებს თუ არა და ირბინე აქეთ-იქეთ. მაგას არ სჯობია, ვინც იშოვა, იმას წაართვა?! მე ასე მაქვს ტვინი მოწყობილი და რა ვქნა?“ — დაასრულა ბადრიმ.

* * *

ბადრიმ ციხეში შვიდი წელი გაატარა და რომ გადიოდა, №0578-ს დაუბარა, თუ აქ იქნები 1-2 წელი, კი შემომაბრუნებენ ალბათო. თავისუფლებაზე №0578-იც მალე გავიდა და გასვლიდან რამდენიმე თვეში, საინფორმაციოში გაიგო, რომ ბადრი ო. ვაკეში, სუპერმარკეტის დაყაჩაღების დროს დაიჭირეს. სამართალდამცავთა ინფორმაციით, ბადრის ჯიბეში სამი ათას ლარზე მეტი ჰქონდა.

ვერსიანიუსი

„კაბელების საქმეზე“ სააპელაციო სასამართლომ ყველა მტკიცებულება დასაშვებად სცნო

თბილისის სააპელაციო სასამართლომ გამოიტანა განჩინება, რითაც სრულად დააკმაყოფილა ბრალდების მხარის საჩივარი და დასაშვებად მიიჩნია, პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება. პროკურატურის ინფორმაციით თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებები დასაშვები მტკიცებულებებია, რადგან მათი შედგენისა და საქმეზე პროცესუალურად დამაგრების დროს კანონის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია: **„ე.წ. კაბელების საქმეზე, 2015 წლის 8 ივნისს პროკურატურის მიერ გასაჩივრებულ იქნა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის განჩინება, რომლითაც ბრალდების მხარის მტკიცებულებების მცირე ნაწილი ცნობილი იქნა დაუშვებლად. 2015 წლის 15 ივნისის განჩინებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბრალდების შესახებ დადგენილებები დასაშვები მტკიცებულებებია, რადგან მათი შედგენისა და საქმეზე პროცესუალურად დამაგრების დროს კანონის დარღვევებს ადგილი არ ჰქონია; შესაბამისად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება — ეს საკვანძო მნიშვნელობის მქონე დოკუმენტები არ დაეშვა საქმის არსებით განხილვაზე, არის მიუღებელი, მიზანშეუწონელი, დაუსაბუთებელი, ბუნდოვანი, შუალედური და უკანონო. საქართველოს საერთო სასამართლოების მასშტაბით, მსგავსი გადაწყვეტილება არცერთ მოსამართლეს არ მიუღია წინასასამართლო სხდომაზე და ამ მხრივ 2015 წლის 5 ივნისის განჩინება უპრეცედენტოა“.**

პროკურატურაში ასევე აღნიშნავენ — სასაქონლო ექსპერტიზის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით, თბილისის სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ **„არ ეთანხმება პირველი ინსტანციის სასამართლოს ცალმხრივ დასკვნებს“,** — თითქოსდა ექსპერტს არ ჰქონდა უფლება, დამოუკიდებლად დამატებითი ინფორმაცია მოეპოვებინა, ვინაიდან იგი მოკლებულია საფუძველს და არ გამომდინარეობს როგორც ზოგადად ექსპერტის უფლებამოვალეობების, ისე სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნებიდან: **„სააპელაციო სასამართლოს განჩინების თანახმად ექსპერტის მიერ კანონის მოთხოვნათა დარღვევას ადგილი არ ჰქონია, ვინაიდან მას სრული უფლება ჰქონდა თავისი ინიციატივით ჩაეტარებინა ბაზრის კვლევა, მოეპოვებინა დამატებითი მასალა, ინფორმაცია და მისი მხრიდან სრულად იქნა დაცული „სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებიც. ზემდგომი ინსტანციის სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ვინაიდან სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნა მოპოვებულია კანონის სრული დაცვით, „ავთენტიკურია, ნამდვილია და მასში ეჭვის შეტანის საფუძველი არ არსებობს“ მის საფუძველზე მიღებული საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნაც კანონშესაბამისია. ზემოხსენებული მსჯელობების შესაბამისად, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მიიღო კანონიერი და დასაბუთებული გადაწყვეტილება, გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 5 ივნისის განჩინება უსაფუძვლობისა და დაუსაბუთებლობის გამო და პროკურატურის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება, მათ შორის სასაქონლო და საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა, სცნო დასაშვებ მტკიცებულებად“.**

„პირველი“

შსს-მ ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის გადაბირების, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით 4 პირი დააკავა

შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა, ჩატარებული საგამოძიებო და ოპერატიული ღონისძიებების შედეგად, სოფელ გომბორის მიმდებარე ტერიტორიაზე — 1979 წელს დაბადებული, სოფელ ჯოყოლოში მცხოვრები აიუფ ბორჩაშვილი, ხოლო თბილისში — 1993 წელს დაბადებული გიორგი კ, 1996 წელს დაბადებული გიორგი ხ. და 1991 წელს დაბადებული დავით ფ. ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისთვის გადაბირების, უცხო ქვეყნის ტერორისტულ ორგანიზაციაში გაერთიანების და ტერორისტულ საქმიანობაში დახმარების ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ აიუფ ბორჩაშვილი არის სირია-ერაყის ტერიტორიაზე მოქმედი ტერორისტული ორგანიზაცია „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენელი საქართველოში. იგი ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანების მიზნით მოქალაქეების გადაბირებას ახდენდა და შემდგომში საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად, მათ სირიაში გამგზავრებას უზრუნველყოფდა. დადგინდა, რომ აიუფ ბორჩაშვილმა თანამზრახველების დახმარებით, სხვადასხვა რელიგიური ლიტერატურის, ინტერნეტ საიტების და სოციალურ ქსელში არსებული ჯგუფების გამოყენებით გადაიბირა პანკისის ხეობაში მცხოვრები, არასრულწლოვანი მუსლიმ კუშტანაშვილი და რამზან ბაღაკაშვილი. 2015 წლის 2 აპრილს აღნიშნული პირები თბილისის საერთაშორისო აეროპორტიდან თურქეთის მიმართულებით, ქალაქ სტამბულში გაემგზავრნენ. თურქეთში მათ აიუფ ბორჩაშვილის თანამზრახველები დახვდნენ და მათი დახმარებით მუსლიმ კუშტანაშვილი და რამზან ბაღაკაშვილი სირიაში, „ისლამური სახელმწიფოს“ რიგებში გადავიდნენ.

გამოძიებით ასევე დადგინდა, რომ აიუფ ბორჩაშვილმა და მისმა თანამზრახველებმა მოახდინეს იდეოლოგიური ზემოქმედება საქართველოს სხვა მოქალაქეებზე, რომლებიც ვაჰაბიზმის მიმდევრები გახდნენ. სამართალდამცველებმა თბილისში გიორგი კ. დააკავეს, რომელსაც თურქეთის მიმართულებით ავიაბილეთები ჰქონდა შეძენილი და აიუფ ბორჩაშვილის დახმარებითა და ორგანიზებით სირიაში გადასასვლელად ემზადებოდა. შსს-ს კონტრტერორისტული ცენტრის თანამშრომლებმა თბილისის საერთაშორისო აეროპორტში, სასაზღვრო კონტროლის გავლის დროს, გიორგი ხ. და დავით ფ. დააკავეს. აღნიშნული პირები ასევე აიუფ ბორჩაშვილის ორგანიზებით თურქეთის მიმართულებით მიემგზავრებოდნენ, საიდანაც სირიაში, საომარ მოქმედებებში მონაწილეობის მისაღებად გადავიდოდნენ. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სსკ-ს 327 პრიმა და 328-ე მუხლებით.

„ვერსიანიუსი“

„დღეს ყველა ვგლოვობთ თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო“

როგორ დაეხმარებიან სხვადასხვა ქვეყნის საელჩოები სტიქიით დაზარალებულებსა და ხელისუფლებას

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველო, თბილისში დატრიალებული სტიქიური უბედურების გამო, საერთაშორისო საზოგადოების ყურადღების ცენტრში მოექცა. კადრები ვერეს ხეობიდან გავრცელდა ყველა ცნობილი ტელეკომპანიის ეთერით. ბევრი ქვეყნის ზოოპარკმა კი უშუალოდ მხარდაჭერა აღუთქვა თბილისის ზოოპარკს, რომლის 600 ბინადრიდან ნახევარი სტიქიამ იმსხვერპლა. თბილისში, ელოდებიან ექსპერტებს სხვადასხვა ქვეყნის ზოოპარკებიდან, მათ შორის პრაღიდან, რომელსაც მსგავს ვითარებაში დიდი გამოცდილება აქვთ. თუმცა, ყველაზე საშინელი ისაა, რომ სტიქიამ ადამიანების სიცოცხლე იმსხვერპლა, დაკარგულებს ისევ ეძებენ, რამდენიმე ათეული ოჯახი კი უსახლკაროდ დარჩა.

ერთადერთი დადებითი, რაც ბოლო დღეებმა აჩვენეს, ხალხის შესაშური სოლიდარობაა. გლობალიზაციის დადებითი მხარე კი ისაა, რომ ყველა უბედურების ირგვლივ ლამის მთელი მსოფლიო ერთიანდება. საგარეო საქმეთა სამინისტროს საგანგებო დავალებათა ელჩის, **დავით კერესელიძის** ინფორმაციით: **„ტრაგედიამ გულგრილი არ დატოვა ჩვენი მეგობარი ქვეყნები. არის ძალიან ბევრი გამოხმაურება და სამძიმრის წერილები. საერთაშორისო საზოგადოება საქართველოს, დაღუპულთა ოჯახებს სამძიმარს უცხადებს. ისინი მზად არიან აღმოგვიჩინონ დახმარება. რამოდენიმე ქვეყანაში, კერძოდ პოლონეთში, თურქეთში, ლიტვაში დაგეგმილია სხვადასხვა ღონისძიება. მაგალითად პოლონელი ბიზნესმენი აპირებს საქველმოქმედო აქციის ჩატარებას, რათა შემოსული თანხით დაეხმაროს თბილისს სტიქიის შედეგად მიყენებული ზარალის აღმოფხვრაში. ლიტვის ქალაქ შაულიაში კი საქართველოს დასახმარებლად საქველმოქმედო კონცერტი გაიმართება. მუდმივი კონტაქტი გვაქვს საზღვარგარეთ ჩვენს საელჩოებთან. ელჩებს აქვთ დელეგირებული, რომ ადგილსამყოფელ ქვეყნებში ისაუბრონ, რა მოხდა საქართველოში, გაიგონ, რა ტიპის დახმარება შეიძლება აღმოგვიჩინონ ამ ქვეყნებმა“.**

ოფიციალურ დონეზე კი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოხმაურება თურქეთის მხრიდან იყო. **„მთელი გულით ვიზიარებთ ქართველი ხალხის მწუხარებას თბილისში მომხდარი სტიქიის გამო, ღმერთმა ნათელში ამყოფოს გარდაცვლილთა სულები და ვუსამძიმრებთ მათ ოჯახებს. ელჩი გუმრუქჩუ დღის განმავლობაში ესაუბრა საქართველოს ოფიციალურ პირებს, მომხდართან დაკავშირებით გამოთქვა ღრმა მწუხარება და თურქეთის რესპუბლიკის სახელით აცნობა, რომ მზად არიან, ამ მძიმე დღეებში აღმოუჩინონ საჭირო დახმარება მეგობარ და მოძმე საქართველოს“.** ელჩი გუმრუქჩუ დღის განმავლობაში ესაუბრა საქართველოს ოფიციალურ პირებს, მომხდართან დაკავშირებით გამოთქვა ღრმა მწუხარება და თურქეთის რესპუბლიკის სახელით აცნობა, მზად ვართ ამ მძიმე დღეებში აღმოუჩინონ საჭირო დახმარება მეგობარ საქართველოსო.

თურქი დიპლომატის განცხადებას მალე თურქეთის პრეზიდენტის განცხადებაც მოჰყვა: **„დიდი მწუხარებით შევიტყვე თბილისში მომხდარი სტიქიის შესახებ. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ამ სამწუხარო შემთხვევის დროს დაღუპული ჩვენი მოძმეების სულები. თურქი ხალხისა და პირადად ჩემი სახელით მინდა, მივუსამძიმრო მათ ოჯახებს, სრულიად ქართველ ხალხს. ჩემი ნატვრაა, დაკარგულები უვნებლად იპოვონ. დარწმუნებული იყავით, თურქეთი მზადაა, ამ საკითხში აღმოუჩინოს ყველა სახის დახმარება საქართველოს“.**

ევროკავშირის ელჩის მოადგილემ, ბორი ოაროშევიჩმა განაცხადა, რომ თბილისი მისი ქალაქია, რადგან უკვე 4 წელია აქ ცხოვრობს. ამ ფონზე, ძლიერ განიცდის მომხდარს. ქართველი ხალხის სოლიდარობა კი შეაქო: **„ეს იმის ნიშანია, რომ საზოგადოება სწორად ვითარდება“.**

განცხადება გამოაქვეყნა ჯეიმს აპატურაიმ, ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში: **„საშინელი დღე იყო თბილისში. ჩემი ღრმა მწუხარება ოჯახებს, რომლებმაც ახლობლები დაკარგეს. ჩვენი ფიქრები იმ ათასობით ადამიანთანაა, რომლებიც დაზარალდნენ“.**

საქართველოში გლოვის დღის ნიშნად აშშ-ს საელჩოს დროშა დაშვებულია. საელჩომ ქალაქის ხელმძღვანელობას დასუფთავებაში მოხალისეებით დახმარება შესთავაზა და ოფიციალური განცხადებაც გაავრცელა: **„ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო უსამძიმრებს ყველას, ვისაც უკანასკნელი 24 საათის განმავლობაში თბილისში მომხდარი გამანადგურებელი წყალდიდობა შეეხო. ვგლოვობთ 12 ადამიანის დაღუპვას. ელჩი ნორლანდი მერ ნარმანიას ესაუბრა. ელჩმა დაადასტურა ჩვენი მზადყოფნა, დავეხმაროთ მთავრობასა და ხალხს მაშინ, როცა ისინი გარდაცვლილებს გლოვობენ, დაშავებულებს მკურნალობენ და ბუნებრივი კატასტროფისაგან მიყენებულ დანაკარგსა და ზარალს ითვლიან“.**

დახმარება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ისრაელმაც შესთავაზა. ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს საგარეო და შინაგან საქმეთა სამინისტროების წარმომადგენლებს ესაუბრა. მისი ინიციატივით, თბილისის ზოოპარკის დასახმარებლად იერუსალიმის ზოოპარკის თანამშრომლები ქართულ მხარეს დაუკავშირდნენ: **„შეძრული ვარ თბილისში მომხდარი ტრაგედიით. მთელი გულით ვუთანაგრძნობ გარდაცვლილთა ოჯახებს და ახლობლებს. თვალყურს ვადევნებ განვითარებულ მოვლენებს. ვიცი, ხელისუფლება აქტიურად ახორციელებს სამაშველო და გაწმენდით სამუშაოებს“.**

„14 ივნისს, გამთენიისას, თბილისის ზოგიერთ უბანზე თავს დამტყდარი დამანგრეველი წყალდიდობიდან მეორე დღეს, რომელმაც იმსხვერპლა 12, უსახლკაროდ დატოვა 200 და რომლის შედეგადაც დაკარგულად გამოცხადდა 20 ადამიანი, საქართველოში საფრანგეთის საელჩოს სურს, სოლიდარობა და მხარდაჭერა გამოუცხადოს თბილისის მოსახლეობას და საქართველოს მთავრობას. საქართველოში საფრანგეთის საელჩოს თანამშრომლები სამძიმარს უცხადებენ მსხვერპლთა ოჯახების წევრებს და ახლობლებს“, — ეს კი, საფრანგეთის საელჩოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული განცხადებაა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს გაუწევს, რა სახის დახმარებაზე იქნება კონკრეტულად საუბარი — იქნება ეს ჰუმანიტარული თუ ფინანსურ-მატერიალური დახმარება. შესაბამისად, სხვადასხვა ქვეყნიდან განეული კონკრეტული დახმარების შესახებ ცნობილი უახლოეს მომავალში გახდება. სამინისტროს წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ეს არ არის მხოლოდ მათი გადასაწყვეტი: **„მთავრობამ უნდა დაითვალოს ზარალი, კონკრეტულად რა გვჭირდება. გზავნილები აუცილებლად მიეწოდება პარტნიორებს, რომ რაც შეიძლება მალე მოხდეს ამ ზარალის ანაზღაურება“.**

„პრობლემა თვითონ შშმ პირებსა და მათ მშობლებშია“

შვედური გამოცდილება სტიგმის დასაძლევად და იმის დასამტკიცებლად, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს

მაკა ლომაძე
555-27-95-13

საქართველოს ეროვნულ მუზეუმში საქართველოში შვედეთის საელჩოს, შვედური ინსტიტუტისა და „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ ერთობლივი კონფერენცია გაიმართა. კონფერენცია გაერო-ს 2006 წლის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის კონვენციის იმპლემენტაციასა და მონიტორინგს ეხებოდა. შვედეთის ელჩის, **მარტინა ქვიქის** განცხადებით: **„ყველა ადამიანს, მიუხედავად თავისი შესაძლებლობებისა, აქვს უფლება, იცხოვროს ღირსეული ცხოვრებით. ამისთვის კი საჭიროა, თითოეულმა ხმა მიაწვდინოს საზოგადოებას, გაუზიაროს პრობლემები“.** შვედური ინსტიტუტის წარმომადგენლის, **სილვია აუგუსტინსონის** განმარტებით კი, **„უნდა დავამსხვრიოთ ბარიერი, უნდა ვისაუბროთ ყველა ჩვენგანის მიდგომებზე ამ საკითხის მიმართ, უნდა ჩამოყალიბდეს სწორი დამოკიდებულება. ამ მხრივ, უმნიშვნელოვანესი იქნება, მოვუსმინოთ შშმ პირთა ისტორიებს“.**

თბილისის მერის მოადგილე **ნინა ხატისკაცი** აცხადებს, რომ დედაქალაქის მუნიციპალიტეტში შშმ პირებს უსმენენ კიდეც და მათი პრობლემების გადაჭრაზეც ზრუნავენ: **„2015 წლის ბიუჯეტის დაგეგმვისას, მერიისთვის შშმ პირთა ინტეგრაციისა და სოციალური დაცვის პროექტები პრიორიტეტული გახდა. უკვე დაახლოებით 15-მდე სხვადასხვა მიზნობრივი კვლევა დაიწყო, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის პირთაგან სპეციალისტების მომზადებას, ასევე აუტიზმის სპექტრის დარღვევების მქონე ბავშვთა და მოზარდთა რეაბილიტაციას ეხება. ეს პროექტები ხორციელდება შშმ პირებსა და მათთან დაკავშირებულ ორგანიზაციებთან ერთად, რაც გაეროს კონვენციის ერთ-ერთი ვალდებულებაა. 2016 წელს მეტი ღონისძიებაა დაგეგმილი“.**

გიორგი ძნელაძე, „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის“ ლიდერი ეტლით მოსარგებლეა. ამბობს, რომ შშმ პირები ქველმოქმედების ობიექტები კი არა, ქვეყნის ღირსეული მოქალაქეები არიან. საქართველოს პარლამენტმა 2013 წლის 26 დეკემბერს მოახდინა გაერო-ს 2006 წლის კონვენციის რატიფიცირება, რომელიც ძალაში შარშან, 12 აპრილს შევიდა. დღეს საქართველოში ბევრი რამ კეთდება შშმ პირებისთვის, მაგრამ მათი აზრით, გასაკეთებელი გაცილებით მეტია, როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელ დონეზე. კითხვაზე, რამდენად ეფექტურად ასრულებს კონვენციის დირექტივებს საქართველო, ძნელაძე ამგვარად პასუხობს: **„იმიტომ გახდა საჭირო ამ კონფერენციის მოწვევა, რომ ნელი ტემპით ხდება წინსვლა. ამ ღონისძიების მიზანია, პრიორიტეტები შევიმუშაოთ და შევთანხმდეთ, როგორ გადავდგათ უფრო აქტიური ნაბიჯები“.**

ლაურენციო პეტერსონი ჯუჯა ადამიანია. 1991 წელს, რუმინეთიდან შვედეთში გააშვილეს: **„მას მერე, შვედეთში შშმ პირებისთვის ბევრი რამ გაადვილდა და ხელმისაწვდომი გახდა. რუმინეთში, დაწესებულებაში ვცხოვრობდი. შვედურმა ინსტიტუტმა ტელევიზიით და ინტერნეტით მნახა. დამიკავშირდნენ. დავთანხმდი კონფერენციაში მონაწილეობაზე, რადგან მივხვდი, რომ ამგვარ ინფორმაციაზე საქართველოში ინტერესია. მსურდა, ქართველი შშმ პირებისთვის გამოცდილება გამეზიარებინა“.**

გამოცდილება, ნამდვილად დიდი აქვს და მისი ისტორიაც გასაოცარია. ძალიან კომუნიკაბელურია და თავისი ქცევით, ხასიათით ამტკიცებს, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს, ხოლო ფიზიკური სისუსტის მიღმა, უსასრულო სულიერი და გონებრივი უნარები იმალება. კინოში გადაღება ისე უნდოდა, ინტერნეტით გაიცნო შესაბამისი ადამიანები: **„ხშირად, დაბალ ადამიანებს ეძებენ. მეც, ერთ-ერთ გერმანულ ფილმში გადასაღებად დამიბარეს და ამიყვანეს. ვკითხულობ უფასო ზოგად ლექციებს ჩემს თავგადასავალზე რუმინეთიდან შვედეთში. მალე, ავტობიოგრაფიას გამოვცემ, რომელიც ინგლისურადაც დაიბეჭდება და იმედია, ქართულადაც ითარგმნება“.**

თინათინ რევაზაშვილი ეტლით მოსარგებლეა: **„კარგია, რომ ეს კონფერენცია იმართება, რადგან შვედებს დიდი გამოცდილება აქვთ შშმ პირებთან მუშაობაში. საქართველოში არ არსებობს შესაბამისი ორგანიზაცია, რომელიც მოახდენდა გაეროს შესაბამისი კონვენციის იმპლემენტაცია-მონიტორინგს. აუცილებლად უნდა შეიქმნას შესაბამისი სამსახური, რომელიც დაკომპლექტებული იქნება შშმ პირებისგან, რადგან ჩვენზე უკეთ პრობლემებს ვერავინ დააყენებს“.** თინათინი „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“ წევრია და „თბილისი მარიოტშიც“ მუშაობს. არასამთავრობო ორგანიზაციაც აქვს. ეგონა, სტიგმა დაძლეული იყო, თუმცა, აღმოაჩინა, რომ ასე არ ყოფილა: **„პრობლემა თვითონ შშმ პირებსა და მათ მშობლებშია. ჩვენ თუ არ გამოვედით გარეთ და არ მოვითხოვეთ, ყურადღება მოგვაქციოს მთავრობამ და საზოგადოებამ, არაფერი გამოვა. მთავარია, ჩვენ ვიყოთ აქტიურები“.**

კონფერენციის პარალელურად, ეროვნული მუზეუმის ჰოლში მოეწყო შვედეთსა და საქართველოში ნაწარმოები დამხმარე საშუალებების დემონსტრირება და ფოტოგამოფენა სახელწოდებით — „ფიზიკური გარემოს მიღმა“. გამოფენა შვედურმა ინსტიტუტმა ქართველ პარტნიორებთან ერთად მოამზადა. მასზე 22 შშმ პირის ფოტოები და მათი ინტერვიუებიდან ამონარიდები წარმოადგინეს.

გამოფენა დედაქალაქის შემდეგ, ქვეყნის სხვადასხვა ქალაქშიც იმოგზაურებს. საქართველო მეორე ქვეყანაა, სადაც ამგვარი ექსპოზიცია ტარდება. ოქტომბერში, სტამბოლში გაემგზავრება, შემდეგ — ბრაზილიაში. თბილისში, კონფერენციას შშმ პირები ბელორუსიდან, უკრაინიდან, მოლდოვადან, აზერბაიჯანიდანაც ესწრებოდნენ. სპონსორები იყვნენ ჩამოსული გერმანიიდანაც. კონფერენციის მთავარი არსი ის იყო, რომ შეზღუდული შესაძლებლობები არ არსებობს და ნებისმიერ ადამიანს აქვს უფლება, იცხოვროს ღირსეული, სრულფასოვანი ცხოვრებით.

1.ფრიკის სახელმწიფო გამბიის დედაქალაქი
2. ფუჭი, უშედეგო
3. სამოთხის ანტიპოდი
4. სახელურიანი დასაკეცი სათვალე
5. ლიტვის დედაქალაქი
6. თვის შუა რიცხვები ძვ. რომში
7.ილეთი ცალასიკურ ჭიდაობაში
8. აუხდენელი ოცნება, ფანტაზია
9. იგივეა, რაც სარკმელი
10. მშვილდით სასროლი ჯოხი
11. დიდი ფრინველის ჰაერში ლივლივი
12. გვარის მეთაური არაბულ ქვეყნებში
13. ფრანგი კომპოზიტორი
14. მარტის ძველქართ. სახელწოდება
15.ფრანგი მსახიობი ფილიპ ...
16. პუშკინის გადიის სახელი
17. კუნთოვანი ქსოვილის სიმსივნე
18. გამოუვალი მდგომარეობა
19. საწარმოთა გაერთიანების ფორმა
20. საეკლესიო თანამდებობათა ყიდვა-გაყიდვა
21. პოპულ. კომპიუტერული თამაში
22. ძველებური თოფი
23. ინგლისელი ფეხბურთელი
24. ცოცხლად-შობა
25. პოპულარული სალათა
26. ჰიტლერის მეუღლის გვარი
27. ინდიელთა ტომი
28. ვაზის ბაღი
29.მაგარი ალკოჰოლური სასმელი
30. ჭადრაკის ფიგურა
31. მდინარე საფრანგეთში
32. დათა თუთაშხიას და
33. ნაგვის ყუთი
34. ინდუსების სულიერი მოძღვარი
35. ძვირფასბეწვიანი ცხოველი
36. მაუგლის გამზრდელი მგელი
37.ყურძენ იზაბელას მეორე სახელი
38. „შვროლეს“ მოდელი
39.მიწაში ამოთხრილი ადგილი
40. ახალზელანდიური მგალობელი ფრინველი
41. ევროპის საფეხბურთო ფედერაცია
42. იგივეა, რაც ბურუსი
43. კრემიანი ნამცხვარი
44. დიზაინერი დონა ...
45. ნესტანდარეჯანის მამიდა
46. სოფ. მესტიაში
47.ბათუს ცოლი
48. ყველაზე დიდი ანტილოპა
49. ქალაქი ირლანდიაში
50.წვრილი ხმის გამომცემი სიმი ჩონგურში
51. ვარსკვლავის წვერი
52. აღ. დიომას „... წლის შემდეგ“
53. ქართული ანბანის I ასო
54. პირველი ჩემპიონი ჭადრაკში
55. ავტორი რომანისა „კაპიტან გრანტის შვილები“
56. მუსიკ. გამის IV ნოტი
57. ჩვენი მნათობი
58.რქოვანი წანაზარდი ცხოველის თავზე
59. ესპანელი ფერმწერი
60. ქართული საცხენოსნო შეჯიბრება
61. ზღვის ძუძუმწოვარი
62. ბეისბოლის მსგავსი თამაში რუმინეთში

ბეჭდები ეჭვიანი მეუღლეებისთვის

ბრიტანელმა იუველირმა სტივ ბენეტმა შექმნა ნიშნობის ბეჭდები, რომელიც აღჭურვილია GPS-სისტემით. სამკაულს ავტორმა „ერთგულების ბეჭდები“ უწოდა და მათში ჩამონტაჟებული მინიატურული ჩიპების ძირითადი დანიშნულება ძვირფასი ნივთის დაცვა იქნება ქურდებისგან. სიახლის ავტორი აცხადებს, რომ ბეჭდებზე დიდი მოთხოვნაა ეჭვიანი მეუღლეებისგან, რომელთაც სურთ, ყოველთვის იცოდნენ, ამა თუ იმ მომენტში სად არის მეორე ნახევარი. ბენეტმა სამკაული ტრეკინგის სისტემით ორ ვარიანტად შექმნა: კლასიკური გამჭვირვალე და იისფერი ბრილიანტით. ძვირფასეულობის ღირებულება ჯერჯერობით უცნობია, დიზაინერი კი სამომავლოდ აპირებს სათვალთვალო სისტემით აღჭურვილი საბავშვო სამკაულების დამზადებას, რათა მშობლებმა იცოდნენ, სად არიან მათი შვილები.

მწერების ჭამა დაავადებებთან ბრძოლაში დაგვეხმარება

ზოგიერთი ჩეხი მეცნიერის მოსაზრებით, საკვებად მწერების მოხმარება ძალიან სასარგებლოა და დაგვეხმარება სიმსუქნესთან, დისტროფიასთან, შაქრიან დიაბეტსა და უამრავ სხვა დაავადებასთან ბრძოლაში. აზიისა და სამხრეთ ამერიკის ქვეყნებში კალიებისა თუ სხვა მწერებისგან შედგენილი ეგზოტიკური მენიუთი ვერავის გააოცებ, ევროპაში კი, მათ შორის ჩეხეთშიც, ძნელად თუ მოიძებნება გაბედული ადამიანი, ვინც მწერებს დააგემოვნებს. „შოკოლადის ვაფლი ფქვილის ჭიებით“, „თურქული ტარაკანი პროვანსალურად“, „ციცინათელა კარამელში“ — ეს არასრული სიაა ფეშენებლური რესტორნის „ნოემ არხის“ (ნოეს კიდობანი) მენიუსი, რომელიც ქალაქ ბრნოში მდებარეობს. ეს ერთადერთი ადგილია ჩეხეთში, სადაც მწერების ჭამა შეგიძლიათ. ცნობილია, რომ ადამიანი მწერებს ჯერ კიდევ ქვის ხანაში მიირთმევდა, საკვებად მათ გამოყენებას ევროპაში XIX საუკუნეშიც დაუბრუნდნენ, დღეისთვის კი დაახლოებით 1500 სახეობის მწერია შესწავლილი, რომელიც საკვებად ვარგისია. ისინი დიდი რაოდენობით შეიცავს ვიტამინებს, მინერალურ ნივთიერებას, ამინომჟავებს და რასაკვირველია, ცხოველურ ცხიმებს.

რა გველის ინტერნეტის გარეშე

თუ ერთ არამშვენიერ დღეს ინტერნეტი აღარ იქნება, სოციალური ქსელების მომხმარებელთა 2% აცხადებს, რომ თავს მოიკლავს. ამერიკელმა მეცნიერებმა გამოკითხვა ჩაატარეს იმის გასარკვევად, რას მოიმოქმედებენ ის ადამიანები, ვისაც მსოფლიო ქსელის გარეშე ცხოვრება ერთი წუთითაც არ შეუძლია. როგორც აღმოჩნდა, რესპონდენტთა 67% მზად არის, ასეთ შემთხვევაში საცხოვრებლად ისეთ ადგილას გადავიდეს, სადაც ინტერნეტის პრობლემა არ ექნება. მათთვის Facebook, „ტვიტერი“ და სხვა სოციალური ქსელები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სამშობლო და იქ დარჩენილი ახლობლები. გამოკითხულთა 14%-მა განაცხადა, რომ უინტერნეტოდ დეპრესიაში ჩავარდება, 6% აცხადებს, რომ კომპიუტერს მაინც არ მიატოვებდა და სოციალური ქსლების ნაცვლად, თამაშებით დაკავდებოდა. 2%-მა განაცხადა, რომ თუკი ინტერნეტი აღარ იქნება, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დაასრულებს, რადგან ცხოვრებას აზრი დაეკარგება. ისინი აცხადებენ, რომ ინტერნეტისა და ვირტუალური ურთიერთობების გარეშე მომავალს ვერ ხედავს. გამოკითხვის მიხედვით, პოტენციურ თვითმკვლელთა შორის უმეტესობა სუსტი სქესის წარმომადგენლია.

სუდოკუ ყანა

ადვილი

					6	5		2
	3				8		7	4
7					2		8	6
		1					5	
5								1
	6					8		
3	2		1					5
1	5		3				6	
9		6	7					

სტანდარტი

			1	9				
		2	7				5	3
7	4				5	2		
	2				8			
	8		9	5	3		2	
			4				9	
		8	5				3	4
9	3				1	8		
				3	9			

რთული

2		9		8		5		4
			5				9	
							2	7
	4	2	3	1				9
3				7	9	2	1	
4	6							
	3				2			
9		7		5		6		1

ექსპერტი

7	3		9	6	8			
		5	3					
2							1	
	4				9			8
	2			5			3	
9			7				5	
	5							3
					5	6		
			4	3	7		2	5

უჩვეულო კანონები ტურისტებისთვის

ცნობილმა ამერიკულმა ჟურნალმა Travel + Leisure, რომელიც ძირითადად, ტურიზმის მოყვარულებისთვისაა განკუთვნილი, მათთვის ერთგვარი „სამახსოვრო“ შეადგინა. ამ უჩვეულო სიაში სხვადასხვა ქვეყნის ის კანონები შეიტანეს, რომელიც, რედაქციის აზრით, საკმაოდ უჩვეულოა. მაგალითად საფრანგეთში მოქმედი კანონის მიხედვით, ღორისთვის ნაპოლეონის დარქმევა აკრძალულია; ფლორიდაში გაუთხოვარ ქალებს ეკრძალებათ კვირაობით პარაშუტით ხტომა, დიდ ბრიტანეთში კი ფეხმძიმე ქალს უფლება აქვს, პოლისმენს ჩაფხუტი სთხოვოს, თუ ახლომახლო ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებელი ადგილი არ მოიძებნა. იტალიაში მოქმედი სპეციფიკური, მაგრამ, ამავე დროს, საკმაოდ ლოგიკური კანონის მიხედვით, ვენეციაში მტრედების დაპურება იკრძალება, კანონის დამრღვევს კი 600 დოლარამდე ჯარიმის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, ამ ქალაქში, საზოგადოებრივ ადგილებში არ შეიძლება პერანგის გარეშე გამოჩენა, ასევე ტროტუარზე ჯდომა და სენდვიჩების მირთმევა. რომში კი იკრძალება შადრევნებში ჭყუმპალაობა. გერმანიაში შეიძლება 100-დოლარიანი ჯარიმა აიკიდოთ, თუ ავტობანზე საფრთხეს შექმნით. კერძოდ, ლეგენდარულ ჰაივეიზე არც ფეხით სიარული შეიძლება და არც მანქანის გაჩერება, თუნდაც ბენზინი გაგითავდეთ.

არაბეთის გაერთიანებული საამიროების ტურისტებმა, რომლებიც იქ რამადანის წმინდა თვეში მიემგზავრებიან, უნდა იცოდნენ, რომ ამ დროს აკრძალულია საჭმელ-სასმელის მიღება საზოგადოებრივ ადგილებში — ბრიტანელი მოგზაურები 275 დოლარით იმის გამო დააჯარიმეს, რომ ქუჩაში წვენს სვამდნენ. ტაილანდში ჩასულები ტროპიკული კლიმატის ცდუნებას ნუ აყვებით და მოტოციკლით პერანგის გარეშე ნუ გაისეირნებთ — შიშველი ტორსით მგზავრობისთვის აქ ჯარიმა დაახლოებით 10 დოლარია. კანადაში, 1985 წელს მიღებული კანონის თანახმად, თუ ნივთი 25 დოლარზე მეტი ღირს, საფასურის გადახდა ერთდოლარიანი მონეტებით აკრძალულია. საფრანგეთსა და ბრიტანეთში რკინიგზის სადგურზე კოცნაა აკრძალული. ფრანგები, რომლებმაც ეს კანონი ჯერ კიდევ 1910 წელს შემოიღეს, მიიჩნევენ, რომ დამშვიდობებისას ხანგრძლივი ამბორი მატარებლების გამგზავრებას აფერხებს.

უაზრო კანონი ამერიკელებმა რუსეთშიც აღმოაჩინეს — მოსკოვში გასარეცხი მანქანით მოძრაობა არ შეიძლება. თუმცა, როგორც გამოცემა აღნიშნავს, კანონში არ არის დაკონკრეტებული, რას ნიშნავს „ჭუჭყიანი“ — გამოკითხულთა 50%-ის აზრით, ავტომობილი ძალიან გასარეცხია, თუ მას სანომრე ნიშნები არ ეტყობა, 9% კი თვლის, რომ ჭუჭყიანი იმ შემთხვევაშია, როცა მანქანაში მძღოლი არ ჩანს. ცენტრალური ამერიკის ქვეყანა გრენადაში არ შეიძლება ქალაქში საცურაო კოსტიუმით სირული. ჯარიმას „აიკიდებენ“ ისინიც, ვინც დაბალწელიან შარვალს ატარებს. თანხა კი საკმაოდ სოლიდური — 270 დოლარია. დანიაში, თურმე, მანქანებმა ანთებული „ფარებით“ უნდა იმოძრაონ, გაჩერებული მანქანებისგან რომ გამოირჩეოდნენ. ნუთუ დანიელები ასე ნელა დადიან? — გაოცებულები არიან ჟურნალის რედაქტორები. გამორთული „ფარებით“ მოძრაობა კი 100-დოლარიან ჯარიმას ითვალისწინებს. სინგაპურში კი ყველაზე მეტად სისუფთავეზე ზრუნავენ. ამიტომ აქაურმა კანონმდებლებმა აკრძალეს ქუჩაში ფრინველების გამოკვება. გარდა ამისა, დაჯარიმდებიან ისინი, ვინც საზოგადოებრივ ტუალეტს მოხმარების შემდეგ არ ჩარეცხავს. ამ ქვეყანაში ასევე არ შეიძლება კევის ღეჭვა და კედლებზე ხატვა.

სულელური კანონების რეიტინგს ამერიკული გამოცემა ყოველწლიურად ადგენს. მასში ევროპული ქვეყნები და აშშ-ც არაერთხელ მოხვდა. მაგალითად, შოტლანდიის მცხოვრებლები ვალდებულნი არიან, ნებისმიერ ადამიანს გაუღონ კარი, ვინც კი მათი ტუალეტით სარგებლობას მოითხოვს. ალაბამას შტატში კანონითაა აკრძალული მანქანის საჭესთან თვალახვეული ჯდომა, ვერმონტელ ქალებს კი მხოლოდ ქმრის წერილობითი თანხმობის შემდეგ შეუძლიათ კბილების პროთეზის ჩასმა. შვეიცარიელებს, რომლებიც პატივისცემით ეპყრობიან გარშემომყოფთა მყუდროებას, საღამოს 10 საათის შემდეგ, კანონით ეკრძალებათ უნიტაზის ჩარეცხვა.

წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები

ადვილი

4	9	8	5	2	3	6	7	1
5	7	6	4	1	9	3	8	2
3	2	1	8	7	6	9	4	5
7	1	5	6	9	4	2	3	8
8	6	4	3	5	2	1	9	7
9	3	2	7	8	1	5	6	4
2	8	3	1	6	7	4	5	9
6	5	9	2	4	8	7	1	3
1	4	7	9	3	5	8	2	6

სტანდარტი

1	7	5	4	3	9	8	6	2
6	4	3	8	1	2	7	9	5
8	9	2	7	6	5	1	4	3
5	3	4	2	9	1	6	8	7
2	8	9	5	7	6	4	3	1
7	1	6	3	8	4	2	5	9
4	6	1	9	2	3	5	7	8
3	5	8	1	4	7	9	2	6
9	2	7	6	5	8	3	1	4

რთული

7	2	1	6	9	3	5	4	8
6	8	9	5	2	4	1	3	7
4	5	3	8	7	1	6	2	9
5	7	6	4	3	9	8	1	2
3	4	2	7	1	8	9	6	5
1	9	8	2	6	5	4	7	3
2	1	7	9	8	6	3	5	4
8	6	5	3	4	2	7	9	1
9	3	4	1	5	7	2	8	6

ექსპერტი

7	8	9	6	5	4	1	3	2
4	2	1	8	3	7	6	9	5
6	5	3	2	1	9	8	4	7
9	1	2	7	8	3	5	6	4
5	7	6	4	2	1	3	8	9
3	4	8	9	6	5	7	2	1
2	3	7	5	9	8	4	1	6
1	6	4	3	7	2	9	5	8
8	9	5	1	4	6	2	7	3

მე-10 გვერდი: 1. ყარყატი; 2. ამპლუა; 3. ყალიონი; 4. ტონა; 5. კანტატა; 6. ამია; 7. ტაბლოიდი; 8. ტეკილა; 9. აპოლონი; 10. თრუსო; 11. გონიო; 12. მიხაი; 13. დიუბეკი; 14. საირმე; 15. ურანოსი; 16. იმპიჩმენტი; 17. გოთუა; 18. სოული; 19. ბარნოვი; 20. მლაშე; 21. ალბუმინი; 22. მამონა; 23. იდა; 24. მარიანი; 25. ნიუ; 26. „მთიულური“; 27. მატისი; 28. ნანა; 29. სიო; 30. ფუგუ; 31. „თალგამი“; 32. პრინცი; 33. მაკაო; 34. მასმედია; 35. კოლბა; 36. კობრა; 37. ოროლი; 38. რეალია; 39. ლი; 40. ინტინა; 41. ოტია; 42. აის; 43. ლასო; 44. ორე; 45. კომპოტი; 46. ნო; 47. ბომარშე; 48. ალია; 49. არ; 50. ვო; 51. ურია; 52. ია; 53. ვინერი; 54. ირა; 55. პაპაია; 56. იაბო; 57. ორგია; 58. არგოსი; 59. ერ; 60. ტაეპი; 61. ფაუ.

ვერსია
მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
e-mail: versiaprinti@yahoo.com www.versia.ge
UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე,
გიორგი იაშვილი, მარიკა ლომიძე, ნინი ჯაფარიძე.
სტილისტი – ნინო ებანოიძე
დიზაინერი – გიორგი ლომსაძე
ტელ: 590 740999; 2942399

ISSN 1987-8699

დაცულია საავტორო უფლებები. რედაქციაში შემოსული მასალები უკან არ ბრუნდება. სტატიაში მოყვანილ ფაქტებსა და ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. პრეტენზიის შემთხვევაში დაგვიკავშირდით 14 დღის განმავლობაში.

ჩვენი დროის გმირები

საოცარი და სასიხარულო ალბათ ისაა, რომ სტიქიური უბედურების დროსაც, ადამიანები გაოცების უნარს არ ვკარგავთ. ან კი როგორ უნდა დაკარგო, როცა ამ დროს ყველაზე მეტად გრძნობ, რომ საბედნიეროდ, ჩვენს გარშემო, ბევრი ჩვენი დროის გმირი დააბიჯებს. სქესს, რასას და ასაკს რა მნიშვნელობა აქვს. მთავარია, მათ შეძლეს, შესაფერის დროს, გმირობა ჩაედინათ. „ვერსია“ გთავაზობთ რამდენიმე მათგანის ფოტოს, მცირე კომენტარებით. იცნობდეთ, ადამიანებს, რომლებმაც მაშველებთან, ჯართან, პოლიციასთან, მოხალისეებთან, ექიმებთან ერთად, რაც შეეძლოთ, ის გააკეთეს დაზარალებულთა დასახმარებლად და მათთვის ტკივილის შესამსუბუქებლად.



გიორგი ხარებაშვილმა სამი მოხუცის სიცოცხლე იხსნა. მან შეძლო და დატბორილი პირველი სართულიდან სამი ადამიანი მარტომ გამოიყვანა.

მთელი ღამე იდგა და მოხალისეებს ჰამბურგერებს უმზადებდა

ახალგაზრდებმა მეტროში სიმღერით თბილისის სტიქიით დაზარალებულთათვის 2 000 ლარი შეაგროვეს

რომ არა **მანუჩარ ინჯგია,** სვანიძის ქუჩაზე მსხვერპლი გაცილებით დიდი იქნებოდა. მან ადიდებული მდინარიდან ძაღლები, დატბორილი სახლებიდან კი ბავშვები და მოხუცები გამოიყვანა

ვისაც როგორ შეეძლო...

მეტროში, სამი ჰოლანდიელი ბიჭი შემოვიდა, სპეციფიკური გარეგნობის გამო დამამახსოვრდნენ. დაუწყეს უშვერი სიტყვებით მოხსენიება საყურის გამო. ჰოლანდიელები ნიჩბებით მუშაობდნენ ჩვენებთან ერთად...

71-ე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებმა ექსკურსიისთვის შეგროვილი ფული მთლიანად სტიქიით დაზარალებულებს გადაურიცხეს. ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში კლასის დამრიგებელი აქვეყნებს: „სიამაყით მინდა განვაცხადო, რომ ჩემმა კლასმა (71-ე საჯარო სკოლის II კლასი) გააუქმა ექსკურსია და შეგროვილი თანხა სრულად გადაირიცხება 13 ივნისს სტიქიით დაზარალებულთა ფონდში. ვამაყობ, რომ ვარ ამ კლასის დამრიგებელი! მადლობა თითოეულ ბავშვს და მშობელს! გვეამაყებით!“ — წერს დამრიგებელი.

გაწმენდით სამუშაოებში სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ